# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 29 ივნისი 2005 №145 (2468) ფასი 50 თეთრი




## შეიცვალა: ტორპედო ბატეს 14 ივლისს თბილისში მიიღებს

2

## ბრაზილია თუ არგენტინა?

დღეს კონფედერაციათა თასის ფინალია

7



## გული დონ კინგსაც ასჩუყებია

15

# სპეცოპერაცია იპოდრომზე



ალექსი დავითაშვილი



გიორგი რევაზიშვილი

...გუშინ, ნაშუადღევს, იპოდრომის ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს საქართველოს ნაკრების ორი ძიუდოისტი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები — გიორგი რევაზიშვილი და ალექსი დავითაშვილი. სამართალდამცავთა მტკიცებით, ისინი საბერძნეთის მოქალაქე გივი იორდანოვს 8 ათას დოლარს სძალავდნენ...

მეთორმეტე გვერდი

# ორივე და ყველაფერი ჰოლანდიელისთვის

## იოჰან ბოსკამპი: თბილისი მწვრთნელობასაც მთავაზობს და დირექტორობასაც



„თბილისის“ პრეზიდენტი ნიკა დოლიძე და იოჰან ბოსკამპი ერთმანეთს კარგად იცნობენ

# კაშია ექვსი თვით, ცხადაძე ერთი დღით
## დინამო შვეიცარიაში წავიდა



შოთა კაშია

**გერმანულ** შეკრებაზე მყოფ თბილისის „დინამოს“ მცველი შოთა კაშია გამოაკლდა. მის თავს ცუდი ამბავია — გერმანელი ექიმების დიაგნოზით, ფეხბურთელს მუხლის ჯვარედინი იოგები აქვს დაწყვეტილი და ექვსი თვე უნდა იმკურნალოს.

შოთა კაშია აპრილში, „თბილისთან“ საჩემპიონატო მატჩისას ნაწვიმარ მოედანზე დაშავდა და მას მერე უქმად იყო. „დინამომ“ ფეხბურთელი შეკრებაზე მაინც წაიყვანა და ცნობილ შტუტგარტელ ექიმებს გაასინჯა. პასუხიც გუშინ ითქვა.

გუშინვე „დინამოს“ დაშორდა მწვრთნელი კახა ცხადაძე. ის დილით მოსკოვს გაემგზავრა და „მოსკვა“ — „ლევადიას“ (1:0) ამხანაგურ მატჩს დაესწრო. მოგეხსენებათ, „ლევადია“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს“ მეტოქეა. ცხადაძემ კი ესტონელთა თამაშის ნახვის შანსი არ გაუშვა და ისინი მოსკოვში დაზვერა.

კახა ცხადაძე „დინამოს“ უკვე შვეიცარიაში შეუერთდება, სადაც გუნდი მზადების მესამე, ერთკვირიან ეტაპს დღეიდან დაიწყებს.

**კობა ინასარიძე**

# რევაზ ქემოკლიძე: დინამომდე დინამო იყო
## ნაკრებიდან ახლა შემომხედავენ

წინა სეზონის ბოლოს „დინამოს“ დაცვაში ძალიან უჭირდა. მწვრთნელ კახა ცხადაძეს უკანა ხაზის ფეხბურთელები ასარჩევად არ ჰყავდა და ვინც ჰყავდა, მათგანაც ყოველი ტურის წინ ერთი-ორი ტრავმის გამო აკლდებოდა. „დინამოს“ სულზე მიუსწრო კახა ალადაშვილმა, ვისაც დისკვალიფიკაციის შემდეგ ბოლო ოთხ ტურში მოუნია თამაშმა და ცხადაძემაც ის იძულებით ფლანგელ მცველად გაამწესა.

ვერ ვიტყვით, რომ „დინამომ“ ახლა ამოისუნთქა და დაცვის პრობლემები ბოლომდე მოაგვარა, თუმცა „თბილისიდან“ რევაზ ქემოკლიძის დამატება კახა ცხადაძეს ამ მხრივ საფიქრალს ოდნავ მაინც შეუმსუბუქებს. ამ ფეხბურთელის „დინამოში“ გადასვლას სეზონის დასრულებისთანავე ველოდით, მაგრამ ისე მოხდა, რომ რევაზ ქემოკლიძე გუნდს ორიოდ დღის წინ გერმანულ შეკრებაზე შეუერთდა



*და კიდევ, ერთი საინტერესო ამბავი: ქემოკლიძის მისვლით „დინამო“ ყველა რგოლში ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელებით დაკომპლექტდა: მეკარე ზვიად სტურუა, მცველი რევაზ ქემოკლიძე, ნახევარმცველი დავით ოდიკაძე და თავდამსხმელი ლევან მელქაძე ხომ წინა სეზონის ლაურეატები არიან.*

— არ ვფიქრობ, რომ „დინამოში“ გადასვლა დავაგვიანე. დროული ნაბიჯი გადავდგი — გვითხრა რევაზ ქემოკლიძემ, რომელსაც გერმანიაში დავუკავშირდით — დიახ, შემეძლო, „დინამოს“ მოსამზადებლად თბილისიდან გამოვყოლოდი, მაგრამ ერთიორი დღე სხვა გუნდების შემოთავაზებას დაველოდე და როცა კონკრეტული წინადადება ვერავისგან მივიღე, „დინამოს“ რუიტში ჩამოვაკითხე.

— **თუმც იქამდე „კახეთში“ ვარჯიშობდი. ამ გუნდში დარჩენას აპირებდი?**

— არა, ფორმის შესანარჩუნებლად ვიყავი „კახეთში“. „დინამომდე“ რამდენიმე გუნდს სურდა ჩემი გადაბირება და არ მინდოდა, ისინი უყურადღებოდ დამეტოვებინა. მათ საბოლოო სიტყვას კი „კახეთში“ ველოდი.

— **და ალარავინ შემოგეხმიანა?**

— დამიკავშირდნენ, მაგრამ, როგორც გითხარით, კონკრეტული ვერაფერი მითხრეს. უკვე „დინამოსთანაც“ მაგვიანდებოდა, ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა და აგერ, ახლა „დინამოში“ ვარ. ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადავდგი.

— **უკვე გადაწყვეტილია, რომ „დინამოში“ დარჩები?**

— დიახ, კლუბის ხელმძღვანელობას ორწლიან კონტრაქტზე შევუთანხმდი. უკვე „დინამოს“ ფეხბურთელი ვარ.

— **ისე, „დინამოში“ პირველად არ მისულხარ...**

— უცხოც არ მეთქმის. თამაში სწორედ „დინამო 2“-ში დავიწყე და „დინამოში“ გადავედი, სადაც ორი სეზონი დავყავი. აქ ახლაც ბევრი მეგობარი მყავს, უმეტესობასთან ერთად სხვადასხვა გუნდშიც მითამაშია. ასე რომ, ახალ „დინამოსთან“ შეგუება არ გამიჭირდება. კარგი გუნდი გვყავს და კარგადაც უნდა ვითამაშოთ. ჩვენი პირველი საზრუნავი ახლა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით თამაშია.

— **სიტყვამ მოიტანა და, ფეხბურთელები უახლოეს მეტოქეზე, „ლევადიაზე“ რას ფიქრობთ?**

— მეტოქეს ვაფასებთ და რთულ მატჩებს ველით. როგორც „დინამოა“ საქართველოს ჩემპიონი, ისეა „ლევადია“ ესტონეთის ჩემპიონი. რა უნდა ვიფიქროთ, „ლევადიასაც“ უნდა მოვუგოთ და სხვა მეტოქეებსაც, მით უმეტეს, მგონია, რომ არც დანიური „ბრონდბიუ“ უნდა იყოს უძლეველი. ევროსარბიელზე წარმატება, ქვეყნის თასი და ჩემპიონობის შენარჩუნება — აი, „დინამოს“ წლევანდელი მიზანი.

— **ერთიც უნდა გკითხო, საქართველოს ნაკრებზე...**

— „დინამოში“ ჩემი გადასვლა ნაკრებში დაბრუნების უდიდესი სურვილითაც არის განპირობებული. ახლა, მგონი, ნაკრების მწვრთნელების მეტ ყურადღებას დავიმსახურებ.

— **არ ფიქრობ, რომ ალენ ჟირესს, ცოტა არ იყოს, მიავიწყდი?**

— რა გითხრათ, ეს თავად მწვრთნელს ჰკითხეთ. ყოველ შემთხვევაში, ნაკრები ჩემთვის მეორეხარისხოვანი არასდროს ყოფილა. ენახოთ, „დინამოში“ ახლა, ალბათ, უფრო დამაკვირდებიან.

**კობა ინასარიძე**



# ბოსკამპი თაბაშირში და თბილისში

*ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი, ვინც 1999 წელს საქართველოს ეროვნულ ნაკრებსა და თბილისის „დინამოს“ წვრთნიდა, ალბათ ერთხელაც ჩამოვა საქართველოში.*

*ადრეც გაუწყეთ, რომ მისი მიწვევა „თბილისს“ სურს, გუშინ კი თავად ბოსკამპს შევეხმიანეთ ბელგიაში...*

— **„თბილისიდან“ მიიღეთ შეთავაზება?**

— დიახ და ახლა ამ წინადადებაზე ვფიქრობ.

— **ბოლოს ქუვეითში მუშაობდით და, როგორც შევიტყვეთ, ერთ-ერთ იქაურ კლუბთან კონტრაქტი კვლავაც გაკავშირებთ...**

— კონტრაქტი ივლისის ბოლოს მეწურება.

— **ქუვეითში როდის ჩადიხართ?**

— ამის აუცილებლობა არ არის.

— **„თბილისის“ შეთავაზებაზე გადაწყვეტილებას როდის მიიღებთ?**

— ჯერ საავადმყოფოში უნდა წავიდე და თაბაშირი მოვიხსნა, დაშავებული ვარ. გადაწყვეტილებას კი ამ კვირაში მივიღებ. ყველაფერი ალბათ პარასკევს გაირკვევა.

— **„თბილისმა“ გუნდის გაწვრთნა შემოგთავაზათ თუ ტექნიკური დირექტორობა?**

— ორივე, ანუ ყველაფერი.

**დავით თავართქილაძე**

# ქუთაისურ-ბორისოვული სტუმარ-მასპინძელი შეიცვალა

**ქუთაისის „ტორპედო“** პირველ საუეფასთასო მატჩს ბელარუსის ბატე-სთან თბილისში გამართავს. არადა, უეფას კენჭისყრით პირველი შეხვედრა ბორისოვში უნდა ჩატარებულიყო. რატომ შეიცვალა სტუმარ-მასპინძელი, ადვილი მისახვედრია: „ტორპედოს“ სტადიონი საევროტურნირო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, თბილისში კი 28 ივლისს „მიხეილ მესხის“ სარბიელი დაკავებულია — „ლოკომოტივს“ ასევე უეფას თასზე სომხურ „ბანანცთან“ აქვს სათამაშო.

კი მაგრამ, ეროვნული სტადიონიო, იკითხავთ. ქუთათურებს არც ამ მხრივ გაუმართლათ, „დინამო“ 27 ივლისს ესტონურ „ლევადიას“ მასპინძლობს და ესეც რომ არ იყოს, უეფა კრძალავს ერთ სტადიონზე სამი გუნდის თამაშს — შეგახსენებთ, „ვიტ ჯორჯიამ“ ინტერტოტოზე სწორედ „ეროვნულზე“ ითამაშა.

მოკლედ, დამთხვევა მოხდა და შედეგად, ბატე და „ტორპედო“ შეთანხმდნენ: მათი პირველი რანდევუ თბილისშია 14 ივლისს, საპასუხო კი ბორისოვში 28 ივლისს.

**ილია ნანოგაშვილი**

# ახალკაცი იწვევს ცაავას



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი დაგვპირდა, ახალი გენერალური მდივნის ვინაობას 1 ივლისისთვის შეიტყობთო, კულუარები კი გვპირდებიან, გენმდივანი გრიგოლ ცაავა იქნებაო.

1 ივლისამდე ორი დღეღა დარჩა და ყველაფერი მალე გაცხადდება. ის კი ნაღდია, რომ ცაავა ახალკაცის ფავორიტია და მისი გენმდივნობა არ უნდა გაგვიკვირდეს.

**ნიკა ჯორჯაძე**

### შვედეთი

ალსვენსკა. XII ტური

ჰელსინგბორგი 2:1 სუნდსვალი

სუპერეტა. XIII ტური

ბრომაპოიკარნა 0:1 იორიგრო

დიგერფორსი 1:0 ვასტერასი

### არგენტინა

კლაუსურა. XVIII ტური

ინდეპენდიენტე 4:2 არსენალი

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი. VIII ტური

ვალიური 3:0 რეიკიავიკი

### მსოფლიოს 2005 წლის 20 წლამდელთა ჩემპიონატი

ნახევარფინალი

ბრაზილია 1:2 **არგენტინა**

მაროკო 0:3 **ნიგერია**



ბადრი კეთილაძის ფოტო

ლევან კობიაშვილი



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ზურაბ ხიზანიშვილი

# კობიაშვილი შალკეს: ვილაპარაკოთ!

გელზენკირხენის „შალკემ" ლევან კობიაშვილთან კონტრაქტის გაგრძელების სურვილი კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე კი დაადასტურა, მაგრამ ჯერ თავად ფეხბურთელისთვის არაფერი შეუთავაზებია.

„ეს ამბავი პრესიდან შევიტყვე, კლუბიდან კი არავინ დამკავშირებია. ახლა შვებულებაში ვარ, 4 ივლისს ვიკრიბებით და კლუბის ხელმძღვანელობა, ალბათ, სათქმელსაც მაშინ მეტყვის" — ლევან კობიაშვილისთვის, რომელიც ახლა საფრანგეთში ისვენებს, „შალკეს" განცხადება მოულოდნელი ყოფილა, კონტრაქტის გაგრძელებაზე მისთვის აქამდე არაფერი უთქვამთ. ჰოდა, ბუნებრივად ასეთი კითხვაც ჩნდება: „შალკეს" კი სურს კობიაშვილის კიდევ სამი წლით დატოვება, მაგრამ ფეხბურთელს აღარ ეკითხებიან?

„კონტრაქტის გაგრძელებაზე ჯერ არც მიფიქრია, ვისვენებ. კლუბს 2006 წლის ზაფხულამდე ვეკუთვნი, იქამდე კი საკმაო დროა. „შალკემ" თუ მართლაც შემომთავაზა ახალი კონტრაქტი, დავფიქრდები. ახლა ვერ გეტყვით, კლუბის წინადადებას დავთანხმები თუ არა, გააჩნია ხელმძღვანელობა რას მეტყვის. ისე, „შალკე" კიდევ უფრო უკეთესი გუნდის გაკეთებას აპირებს, წლეულს ჩემპიონთა ლიგაშიც უნდა ვითამაშოთ, ეს კი მომხიბვლელი პერსპექტივაა და ალბათ ღირს „შალკეში" დარჩენა. ყოველ შემთხვევაში, ისეთ ნაბიჯს არ გადავდგამ, ჩემს კარიერას ავნოს" — გვითხრა გუშინ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა.

და რა სტადიაშია მეორე ჩვენიანის, ზურაბ ხიზანიშვილის „შალკეში" შესაძლო ტრანსფერის საკითხი? ლევან კობიაშვილს ესეც ვკითხეთ: „ბევრი არაფერი ვიცი. მხოლოდ ის გავიგე, რომ „შალკეს" ხელმძღვანელებს წინა კვირას ზურას აგენტი შეხვდა და მათთან ორდღიანი მოლაპარაკება ჰქონდა. ისიც მითხრეს, აგენტი კმაყოფილი ჩანდაო. ის, ალბათ, გერმანელებს სატრანსფერო თანხაზე მოურიგდა. ძალიან გამიხარდება, ზურა „შალკეში" თუ გადმოვა, კონტრაქტის გასაგრძელებლადაც მეტი სტიმული მექნება".

თავად ზურაბ ხიზანიშვილი კი ახლა იტალიაში ისვენებს.

**კობა ინასარიძე**

# რას ეტყვის აშვეთია ფილატოვს?

## ქართველის არა ლოკომოტივის არა იქნება

**მოსკოვის „ლოკომოტივის"** ქართველ თავდამსხმელ მიხეილ აშვეთიას „როსტოვში" შესაძლო გადასვლაზე გუშინ რკინიგზელთა პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმაც გააკეთა კომენტარი: „აშვეთიას და პიმენოვის „როსტოვის" ფეხბურთელებად ჩათვლა ჯერ ძალიან ნაადრევია. „ლოკომოტივის" არც ერთი ფეხბურთელი არ წავა გუნდიდან, თუ ეს მათი სურვილი არ იქნება. უახლოეს დღეებში მიშასაც და რუსლანსაც შევხვდები და ყველაფერს გავარკვევთ. მათ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა აქვთ და საინტერესოა, რას ფიქრობენ. ფაქტია, ორივეს თამაში უნდა, მაგრამ ჩვენთან დიდი კონკურენციაა, ალბათ ამიტომაც გამოუჩნდათ მათ „როსტოვის" ვარიანტი, რასაც ახლა განვიხილავთ".

შეგახსენებთ, რომ როსტოველები აშვეთიას სეზონის ბოლომდე თხოვებას აპირებენ და ეს იდეა მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც „ლოკომოტივმა" მათგან მალაველი თავდამსხმელი ისო კანიენდა შეიძინა.

საინტერესოა, რას ეტყვის აშვეთია ფილატოვს?

**კახა შალამბერიძე**



# აკაკი დევაძის მძიმე ისტორიები

30 მარტს საქართველო — თურქეთის მატჩში საშინლად დაშავებული აკაკი დევაძე ახლა ჯანზეა, თბილისის „სპარტაკში" ვარჯიშობს და უმაღლესი ლიგისთვის ემზადება.
ტრავმა უკვე დამავიწყდაო, გვითხრა დევაძემ და ისიც დასძინა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩემი ფეხბურთი დამთავრდა, ძალიან ცდებაო.
მოკლედ, კაკოს გუშინ ვესაუბრეთ და იმ მძიმე წუთების გახსენება ვთხოვეთ, რაც კარიერაში გადაუტანია...



ბადრი კეთილაძის ფოტო

**— თურქეთთან მატჩი ერთხელაც გავიხსენოთ. გახსოვს, რა მოხდა მაშინ?**

— კარიდან რომ გავედი, მახსოვს. ისიც მახსოვს, რომ დავიძახე, ბურთი ჩემია-მეთქი და ხელშიც დავიჭირე, მაგრამ... ამ დროს ძლიერი დარტყმა ვიგრძენი თავში. გონება არ დამიკარგავს, ყველაფერი მახსოვს, მართალია, ზოგი რამ უფრო ბუნდოვნად მახსენდება, მაგრამ ფაქტია, არ გავთიშულვარ. ყბა გამიტყდა და კახა კალაძეს ვანიშნე კიდეც, შეცვლა მჭირდება-მეთქი. ახლაც მძიმედ მახსენდება, სისხლში ამოსვრილი რომ ვიყავი — ყურებიდან, ცხვირიდან, პირიდან — საიდან არ მომდიოდა სისხლი...

**— მაშინ ბევრი მსჯელობა იყო იმაზე, უნდა გამოსულიყავი თუ არა კარიდან. შენი აზრიც საინტერესოა ამის თაობაზე...**

— გასვლით აუცილებლად უნდა გავსულიყავი, ეს შეცდომა არ იყო. უბრალოდ, იმაში შევცდი, რომ წამიერად შევჩერდი... ამან დამღუპა. მეკარე კარიდან თუ გადის, უნდა გავიდეს — ეს დაუწერელი კანონია. მე კი წამის მეასედით შევყოვნდი და თქვენც ნახეთ, რაც დამემართა. მერე კი, როცა გავიგე, რომ მსაჯმა გოლი ჩათვალა, კინაღამ გავგიჟდი, იმწუთას გავითიშე.

**— რამდენიმე წლის წინ ისრაელში თამაშისასაც მსგავსი ტრავმა მიიღე...**

— ის უარესი იყო. ამასთან ვერც შევადარებ.

**— კერძოდ?**

— პირისპირ გამოვიდა თავდამსხმელი და მეც, ბუნებრივია, კარიდან გავედი. რომ იტყვიან, გიჟივით გავვარდი, ბურთთანაც მივასწარი, მაგრამ იმას ფეხი დაუცდა და ორივე მუხლით პირდაპირ სახეში დამეჯახა. იმის მერე არაფერი მახსოვს, ორი საათი უგონოდ ვიყავი. ენა გადავყლაპე და ექიმები პირს რომ ვერ მაღებინებდნენ, კბილები ჩამიმტვრიეს. კლინიკური სიკვდილი დამიდგინეს და ელექტროშოკითაც ვეღარ მიშველეს. მერე რაღაც სპეციალური დანადგარები ჩამოუტანიათ და იმითღა გადამარჩინეს. კოშმარი იყო.

**— მოკლედ, მაგარი ნაომარი ხარ...**

— ეგ რა არის... ვოლგოგრადის „როტორში" რომ ვიყავი, მაშინაც დაახლოებით ამგვარი ტრავმა მივიღე — დარბაზში კაუჩუკგადაკრულ ასფალტზე დავარტყი თავი და ტვინის შერყევა მქონდა.

**— საერთოდ თუ დაგითვლია, რამდენი ოპერაცია გაქვს გაკეთებული?**

— ზუსტად ნაღდად ვერ გეტყვი, სათვალავი ამერია. ეს უიღბლობა სულ თან დამდევს, მაგრამ დანებებაზე არც მიფიქრია.

**— ახლა ჯანზე ხარ და ვარჯიშობ...**

— უკვე ყველაფერი კარგადაა. „სპარტაკში" ვვარჯიშობ, მაგრამ ექიმმა მითხრა, რამდენიმე თვე ბურთი სახეში არ მოგხვდეს, თორემ შესაძლებელია, ტრავმა გაგიმეორდესო. ამის მიუხედავად, გაათმაგებულად მონდომებული ვარ.

**— ნაკრებზე კიდევ ფიქრობ?**

— აუცილებლად! ნაკრებიდან წასვლა აზრადაც არ მომსვლია. ახლა მთავარია, ახალ სეზონში გამოვიჩინო თავი და ძველებურად ავთამაშდე. ნაკრებში თამაში ისევ ჩემი უპირველესი მიზანია. ასე იოლად რომ ვნებდებოდე, ფეხბურთი კარგა ხნის დამთავრებული მექნებოდა...

**კახა შალამბერიძე**

# სპარინგი დიღომში

## ბუნდესგოლები და გაურკვევლობები





ნოდარ აკობიას გუნდში „გერმანელი“ დავით სირაძეც ვარჯიშობს

**გუშინ** დიღომში თბილისის „ლოკომოტივმა“ ბაზაზე ბოლნისის „სიონი“ ისტუმრა. ტესტ-მატჩი ლოკომოტიველებმა 6:1 მოიგეს.

გუნდებმა პირველი ტაიმი ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*„ლოკომოტივი“: შეყრილაძე, საჯაია, რ. ონიანი, მახვილაძე, დ. ფოფხაძე, ბენდელიანი, სირაძე, ქებაძე, კახელიშვილი (ჩივაძე), ფურთუხია, გაბლაია;*

*„სიონი“: ბობლიაშვილი, კორსანტია, ნადირაშვილი, დ. ხანიშვილი, ალავიძე (ჩხეიძე), ხმალაძე, ქუცურუა, ავალიანი, დონდოლაძე, ე. მერებაშვილი, დვალი.*

პირველი ტაიმი „ლოკომოტივმა“ 4:0 მოიგო, დავით სირაძემ ჰეთ თრიქი შეასრულა, ერთი გოლიც გიორგი კახელიშვილმა გაიტანა. დიახ, მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნილ ტრირის „აინტრახტთან“ კონტრაქტგასრულებულმა სირაძემ თავის ყოფილ გუნდში კი ითამაშა, მაგრამ, როგორც თავად გვითხრა, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, სატრანსფერო ფანჯარა ევროპაში 1 ივლისამდე ღიაა და მანამდე უცნობია, თუ სად გააგრძელებს კარიერას.

მეორე ტაიმში გუნდებმა ეს ფეხბურთელები გაიყვანეს მოედანზე:

*„ლოკომოტივი“: ზ. ჩალაძე, საჯაია, კიკნაძე, პანოვი, სეთურიძე, გულორდავა, ყლენტი, ჩივაძე, ხვიჩია, მხეიძე, ყიფიანი;*

*„სიონი“: გავაშელი, ჩაჩუა, დ. ხანიშვილი, სვანიძე, ნადირაშვილი, ქუცურუა, ბაჯელიძე, კ. ხანიშვილი, სულაბერიძე, დვალი, მარკოზაშვილი.*

ლოკომოტიველებმა ანგარიში გიორგი ყიფიანის გოლით გაზარდეს, შემდეგ კობა ხანიშვილმა ერთი გოლი გაქვითა, ბოლო წამებზე კი კვლავ ყიფიანმა იმარჯვა და 6:1.

ნამატჩევს „ლოკომოტივის“ დამრიგებელ *ნოდარ აკობიას* გამოველაპარაკეთ...

— ახალი სეზონისთვის გუნდის დაკომპლექტება დასრულებულია?

— დიახ, შეიძლება ითქვას, რომ ეგრეა.

— რუსეთიდან წამოსული ედიკ საჯაიას „ლოკომოტივში“ ტრანსფერი გადაწყვეტილია?

— ეს საკითხი დღე-დღეზე გაირკვევა.

— გიორგი კიკნაძე ფეხბურთელობას უბრუნდება?

— კი და მას ალბათ დაცვაში გავამწესებთ.

რაც შეეხება „სიონს“, იქ გაურკვევლობაა, ჯერ არავინ იცის, თუ ვინ უპატრონებს კლუბს კარსმომდგარ სეზონში. სიონელებისგან შევიტყვეთ, ეს საკითხი ალბათ 5 ივლისისთვის გადაწყდებაო.

**დავით თამართქილაძე**

*საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები კობა ჟორჟიკაშვილის თავკაცობით 4 ივლისს იტალიური ვენეციის მახლობელ ქალაქ ლინიანოში დასცემს ბანაკს. აპენინებზე ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება და ქართველებიც იმედიანად მიდიან. ჟორჟიკაშვილის გუნდი 1988-1989 წლებში დაბადებულებისგან დაკომპლექტდა. ნაკრებში ყველაზე უხვად, 5 ფეხბურთელით თბილისის „ამერია“ წარმოდგენილი. მათ შორისაა 17 წლის თავდამსხმელი რატი წინამძღვრიშვილი, რომელიც გასულ სეზონში „ამერი 2“-ის რიგებში რეგიონალლიგელებს ბდღვირს ადენდა და 34 გოლიც მიითვალა, თან „ამერს“ პირველ ლიგაშიც გვარიანად შეეშველა 11 გოლით...*

# ფესტივალზე საგოლაოდ

## რატი წინამძღვრიშვილი ამერის სამეულს ხედავს

„ორი კვირაა, ნაკრების ბაზაზე ვვარჯიშობთ და თანაგუნდელებს უკვე შევეჩვიე. კარგი ფეხბურთელები გვყავს, პირობებიც ნორმალურია. კობა ჟორჟიკაშვილი ძლიერი მწვრთნელია, ფანატიკურად უდგება საქმეს. მას ჩვენთვის კონკრეტულად არ უთქვამს, უსიკვდილოდ უნდა მოიგოთ ტურნირიო, თუმცა საამისოდ ცდას არ დავაკლებთ“ — ამბობს რატი.

ლინიანოს ფესტივალი 19-წლამდელთა ნაკრების ევროშესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლადაც განიხილება, რომელიც ოქტომბერში გაიმართება. წინამძღვრიშვილმა შარშან 17-წლამდელთა შესარჩევში ითამაშა და იმედი აქვს, შემოდგომაზე ჟორჟიკაშვილის ნაკრებშიც მოხვდება.

„მართალია, ევროშესარჩევში ერთი წლით უფროსებში მომიწევს თამაში, მაგრამ ჩემი უნდა გავიტანო. ვფიქრობ, არ გამიჭირდება, დანარჩენი კი მწვრთნელის გადასაწყვეტია. 19-წლამდელებში ერთხელ უკვე ვითამაშე „თბილისთან“ ამხანაგურ მატჩში — იმედიანადაა რატი.

წინამძღვრიშვილი ტანმაღალი ფორვარდია, თუმცა მასზე ვერ იტყვი, ტარანული ტიპისაა და ტექნიკასთან უბრად არისო. თავადაც ასე მიაჩნია...

„ამოჩემებული თამაშის მანერა არ მაქვს. ბაქი-ბუქობა თუ არ გამოვა, დაახლოებით ადრიანოს ტიპის თავდამსხმელი ვარ“. 17 წლის ფორვარდი იმასაც ამბობს, „ამერი 2“-ში ჩემი ყველაზე კარგი პარტნიორი მირზა ბჟალავაა, მთავარ „ამერში“ კი გიორგი დეკანოსიძეო, თუმცა იქვე ამატებს, მარტო სხვების გადაცემებზე არ ვარ დამოკიდებული, ზოგჯერ მეც შემიძლია სიღრმიდან თამაშიო.

რატი თვლის, რომ აწ უმაღლესლიგელი „ამერის“ ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ მზადაა. „მიუხედავად იმისა, რომ პირველ ლიგაში ძირითადში იშვიათად ვთამაშობდი, 11 გოლი გავიტანე. იმედია, გიორგი ჩიხრაძე სულ უფრო ხშირად მომცემს შანსს. ძალიან დატვირთული ვარჯიშები გვაქვს, ხანდახან ძნელია ამის ატანა, მაგრამ როცა პერსპექტივას ხედავ, დაღლა გავიწყდება“.

როგორც იცით, „ამერმა“ წლეულს პირველი ლიგიდან უმაღლესში დამაჯერებლად აინაცვლა და არც იქ აპირებს გულზე ხელების დაკრეფას. წინამძღვრიშვილის აზრით, გუნდს სამეულში მოხვედრა შეუძლია — სხვა უმაღლესლიგელების თამაშიც მინახავს, შემიძლარებია და მათზე ნაკლებნი არ უნდა ვიყოთო.

**ილია ნანობაშვილი**



# თელავს უეფას ესტუმრა, ბრაზილიელი გეგმაშია



ოთარ კორღალიძე

**უმაღლეს** ლიგაში ადგილდაბევებული თელავის „კახეთი“ 10 ივლისს შეკრებაზე გრიგოლეთში მიდის. მანამდე კი გუნდის მწვრთნელი ოთარ კორღალიძე ფეხბურთელების დამატებაზე ფიქრობს. ექსლოკომოტიველი გაგა მძინარიშვილისა და ფოთელი ვასილ კუნჭულიას შემდეგ თელავში ახალი არავინ გამოჩენილა, თუმცა კორღალიძემ გვითხრა, „დინამო 2“-დან გვსურს ორი-სამი მოთამაშის გადმოყვანაო. ამასობაში, „კახეთში“ გადასვლაზე უარი უთქვამს „თბილისის“ მცველ ბესიკ მიქიაშვილს.

კორღალიძემ გვითხრა, ბრაზილიელი ფეხბურთელის ჩამოსვლაზეცაა ლაპარაკი, ამ ტრანსფერის გაჩარხვას ბრაზილიაში მცხოვრები გოჩა ალადაშვილი აპირებს და ვნახოთ, რამდენად რეალური იქნებაო: „სამხრეთამერიკელი თუ ჩამოვა, გაუსინჯავად ჩავრიცხავთ გუნდში, მაგრამ მეეჭვება. თბილისი რომ იყოს, კი ბატონო, მაგრამ რამდენად მოეწონება ბრაზილიელს თელავში თამაშის პერსპექტივა, ძნელი სათქმელია“.

და კიდევ, გუშინწინ თელავში ჩავიდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ალმასკომის რამდენიმე წევრი, მათთან ერთად იყო „ვიტ ჯორჯია“ — „ლომბარდ პაპას“ მატჩის დელეგატი, შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გვიდო კორნელაც. სტუმრები გივი ჩოხელის სახელობის თასის ფინალს დაესწრნენ.

**ილია ნანობაშვილი**



ლუკაშ პოდოლსკი მიუნხენის „ბაიერნმა" სამომავლოდ დაიბევა

# პოდოლსკი რუმენიგეს კალენდარში
## დოლი და დემელი

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ** მიმდინარე კონფედერაციის თასის გათამაშებამ ბუნდესლიგური ტრანსფერები დაჩრდილა, თუმც კლუბები მთლად გულხელდაკრეფილნი არ არიან.

მიუნხენის „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე ლუკაშ პოდოლსკის თამაშით ისე მოხიბლულა, რომ მომავალ წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, „კიოლნის" ფორვარდის გადაბირებას აპირებს. 20 წლის მოთამაშის „ბაიერნში" გადასვლა ისედაც გადაწყვეტილი იყო 2007 წლის ივნისისთვის, მაგრამ რუმენიგემ თქვა: „ბასტიან შვაინსტაიგერმა აჩვენა, რომ მის ასაკში მაღალ დონეზე თამაში შესაძლებელია და პოდოლსკიც შვაინსტაიგერის თანატოლია. მომდევნო სეზონში „კიოლნში" გამოცდილებას მიიღებს, დაიხვეწება და მერე „ბაიერნის" მაისურას მოვარგებთ".

კონფედერაციულ რია-რიაში „ჰამბურგმა" დორტმუნდის „ბორუსიას" ნახევარმცველი გაი დემელი შეიძინა. კოტდივუარელმა ფეხბურთელმა ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჰამბურგელთა მწვრთნელმა თომას კი დოლმა განაცხადა: „დემელს დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე თამაში შეუძლია და ნახევარმცველობაც კარგად ეხერხება. ამიტომ გვსურდა მისი გადმოყვანა".

24 წლის გაი დემელი 2000 წელს ლონდონის „არსენალში" იყო, მაგრამ პატრიკ ვიეირას შემყურეს სათადარიგოთა სკამის ხეხვა უწევდა და 2001-ში დორტმუნდის „ბორუსიაში" გადავიდა.

**ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

# მექვემიტანილია გარიგებაში
## პირველი სერია 250 ათასად



ენრიკო პრეციოზი

**ᲡᲔᲠᲘᲐ A-ᲨᲘ** აღზევებულ „ჯენოას", ელიტის ვიზა ეგებ არც მისცენ, რადგან კლუბი მატჩის ყიდვაშია ეჭვმიტანილი. სერია **B**-ს ბოლო ტურში „ჯენოამ" შინ „ვენეციას" 3:2 დამარცხებით პირველი ადგილი გაინაღდა.

ამ ორი გუნდის წარმომადგენლების სატელეფონო საუბრის ჩანაწერი პოლიციაში აღმოჩნდა და საქმეც ამის გამო აღძრეს. ჯენოელთა შეფი ენრიკო პრეციოზი, მისი შვილი მატეო და გენერალური დირექტორი სტეფანო კაპოზუკა უკვე დაკითხეს.

„ვენეციას" სპორტულ დირექტორ ჯუზეპე პალირას 250 ათასი ევროთი გამძღვილი კეისი უპოვეს. დირექტორმა პოლიციას განუცხადა, ეს ფული ჩვენსა და „ჯენოას" შორის სატრანსფერო ოპერაციების მოსაგვარებლად მჭირდებოდაო.

ამ მატჩის გარდა, გამოძიება კიდევ რამდენიმე თამაშით დაინტერესდა. მათ შორისაა „ჯენოას" შეხვედრები „ჩეზენასთან", „ემპოლისთან", „კატანძაროსა" და „პიაჩენცასთან".

„ვენეციასა" და „ჯენოას" პატრონები გარიგებას უარყოფენ, მაგრამ ბრალდება თუ დაუმტკიცდათ, ჯენოელებს ფულადი ჯარიმა, ქულების დაკლება და ყველაზე უარესი — სერია **A**-დან გაძევება ელით.

**ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

# გლები თოფით

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ** „არსენალმა" „შტუტგარტის" ნახევარმცველი ალექსანდრ გლები შეიძინა და მის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაიხადა. 24 წლის ბელარუსმა ფეხბურთელმა ხუთი წლის განმავლობაში „შტუტგარტში" 138 მატჩი ითამაშა, ეროვნული ნაკრების მაისურა კი 18-ჯერ მოირგო.



ინგლისურ პრემიერლიგაში ბელარუსი ალექსანდრ გლებიც გამოჩნდება

არსენ ვენგერი: „დიდი ხანია, მომწონს გლების თამაში და მჯერა, რომ იგი ჩემი გუნდის შუა ხაზს კიდევ უფრო გააძლიერებს".

ალექსანდრ გლები: „არსენალში" გადასვლით ძალიან ბედნიერი ვარ. ეს უდიდესი კლუბია, რომელსაც მსოფლიო დონის ფეხბურთელები ჰყავს".

ორი კვირის წინ დაპატიმრებული, „არსენალის" ჰოლანდიელი ლეგიონერი რობინ ვან პერსი კი გაათავისუფლეს. საქმის ძიება გრძელდება, მაგრამ პოლიციაში განაცხადეს, ფეხბურთელის დაკავების აუცილებლობა აღარ არსებობს და საჭიროების შემთხვევაში გამოვიძახებთო. შეგახსენებთ, რომ რობინ ვან პერსი 13 ივნისს, როტერდამში დააკავეს, როგორც ქალის გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი.

სხვა არსენალური ამბებიდან კი ახალი ისაა, რომ „მეთოფეთა" მეკარე სტიუარტ ტეილორი „ასტონ ვილამ" მილიონ 200 ათას ევროდ იყიდა, ხოლო ჟერემი ალიადიერი შესაძლოა, გლაზგოს „სელტიკს" ერთი სეზონით ათხოვონ.

**ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

*მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ენრიკე სერეზომ ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ ფერნანდო ტორესის გაყიდვას არ აპირებს და „ჩელსის" ფულიანი პატრონის, რომან აბრამოვიჩის მცდელობანი უშედეგო იქნება*

# ვერ მოგართმევთ
## ტორესი ჩელსიში არ გადავა

**„ᲛᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘᲗ,** რომ „ჩელსი" ტორესს ყიდულობს? სრული აბსურდია. მაშინ ხომ მეც შემიძლია, გითხრათ, ხვალ ნახევარი „ჩელსის" შეძენას ვაპირებ-მეთქი. საერთოდ, ფერნანდოსა და ნებისმიერი ჩვენი ფეხბურთელის წასვლა-დარჩენის საქმე ტონი მუნიოსს, „ატლეტიკოს" სპორტულ დირექტორს ეხება, მაგრამ აქვე შემიძლია წინასწარ განგიცხადოთ — ფერნანდო ტორესი ჩვენი გუნდის ფეხბურთელია და იგი „ატლეტიკოში" კიდევ დიდხანს ითამაშებს" — უთხრა მადრიდელთა გაღიზიანებულმა თავკაცმა „მარკას".



ფერნანდო ტორესს მადრიდის „ატლეტიკო" ვერ შეელევა

რატომაა გაღიზიანებული პრეზიდენტი? საქმე ისაა, რომ მედიამ ენრიკე სერეზოს 19 ივნისს გამართული საიდუმლო მოლაპარაკების პერიპეტიები შეახსენა. მაშინ „ჩელსისა" და „ატლეტიკოს" წარმომადგენლები მარსელში შეხვდნენ ერთმანეთს და „ელ ნინიოს" მომავალზე მოითათბირეს.

თავად ტორესის აგენტი, ხოსე ანტონიო მარტინ პეტონი კი ამბობს, რომ საერთოდ არაფერი არ იცოდა ამ შეხვედრის შესახებ.

„მარსელური მოლაპარაკების შესახებ პირველად პრესიდან გავიგე. „ატლეტიკოს" ხელმძღვანელობას ჩემთვის არაფერი უთქვამს, რასაც ვერაფრით ვერ მივესალმები. თუ ფერნანდოს ბედის გადაწყვეტა უნდათ, ეს ჯერ ჩვენთან უნდა შეათანხმონ და დაინტერესებულ გუნდებთან მოლაპარაკებაზე მერე წავიდნენ".

**ᲚᲐᲓᲝ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ**

# დეპორტივომ სკალონი დააკანონა



**ᲚᲐᲙᲝᲠᲣᲜᲘᲣᲚ** „დეპორტივოს" ახალი კაპიტანი ჰყავს — გუშინ გუნდის მოთამაშეები შეიკრიბნენ და წინამძღოლად „რიასოროდან" წასული ხავიერ ფრანის ნაცვლად არგენტინელი ლიონელ სკალონი აირჩიეს.

ლიონელ სკალონი „დეპორტივოს" ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა. იგი ლა კორუნიაში 1997 წლიდანაა.

„დამდეგ სეზონს სხვაგვარი განწყობით ვხვდებით. ახლა „დეპორტივოში" გარკვეული სიახლეებია, მწვრთნელი შეგვეცვალა, ახალი ფეხბურთელებიც მოდიან. მე კი ჩემის მხრივ, თანაგუნდელებს ნდობისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ" — უთხრა სკალონიმ „მარკას".

**ᲚᲐᲓᲝ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ**

# ტრაგიკული ტრანსფერი
## მიკოლი ძალით ტურინელია

„იუვენტუსიდან“ ფლორენციის „ფიორენტინაში“ შარშან განათხოვრებული ფაბრიციო მიკოლი ტურინულ გუნდში ძალით დააბრუნეს. ორი კლუბი ფორვარდის გაქირავების თაობაზე ვერ შეთანხმდა და ფეხბურთელი იძულებულია, „იუვენტუსში“ ითამაშოს.

ფაბრიციო მიკოლი გაოგნებულია: „იუვენტუსში“ დაბრუნება არ მსურდა. მეიმედებოდა, რომ „ფიორენტინა“ ჩემს კონტრაქტს გამოისყიდდა, ახლა კი არ ვიცი რა მოხდება. ტურინში ჩასვლა ტრაგედიას ჰგავს. დარწმუნებული ვიყავი, რომ „იუვე“ ფლორენციელებს დიდ თანხას არ მოსთხოვდა. ყველაფრისთვის მზად ვიყავი, მაგრამ ასეთ ამბავს არ მოველოდი“.

მიკოლის გარდა „იებში“ ენცო მარესკაც თამაშობდა, მაგრამ „იუვენტუსმა“ ისიც მოითხოვა. ფაბრიციო მიკოლის აგენტმა ფრანჩესკო გალინდომ განაცხადა: „ჩემი კლიენტი „ფიორენტინას“ შეეჩვია და აქ სურდა კარიერის გაგრძელება. რადგან ეს ტრანსფერი არ შედგა, მიკოლის ალბათ „რომა“ შეიძენს, რომელიც მზადაა ფული გადაიხადოს“.

„იუვენტუსმა“ „ფიორენტინადან“ მარცხენა მცველი ჯორჯო კიელინიც დაიბრუნა. ფაბიო კაპელოს ძალიან მოსწონებია 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელის თამაში და მისი დაბრუნების შანსი ხელიდან არ გაუშვა.

**ვაჟა ხუციშვილი**




რას მიკეთებთ, ხალხო! — ფაბრიციო მიკოლის „იუვენტუსში“ არ უნდა



ტიტანთა ბოლო შეყრა არგენტინელებმა მოიგეს — 3:1

# ბრაზილია — არგენტინა
## დღე პირველი, დღე დღევანდელი

*დღეს ფრანკფურტში კონფედერაციათა თასის ფინალია, არგენტინა ბრაზილიას ხვდება. საინტერესოა, რომ სამხრეთამერიკელი მეზობლები მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად 1974 წელს, სწორედ გერმანიაში გადაეყარნენ ერთმანეთს, მაგრამ ბუნებრივია, ეს მათი პირველი შეხვედრა არ იყო. მათი თამაშების ისტორია 1914 წლიდან იწყება და სულ 88 დაპირისპირებას ითვლის. ამათგან 33 თამაში ბრაზილიამ მოიგო და ამდენივე არგენტინამ. საინტერესოა ისიც, რომ დღევანდელი ბრაზილია — არგენტინა მეოთხეა, რომელსაც „ბებერი კონტინენტი“ უმასპინძლებს. პირველზე ზემოთ მოგახსენეთ, მეორე 1982 წელს ესპანეთში შედგა, ხოლო მესამე 1990 წელს იტალიაში, თუმცა, მოდით 1974 წლის შემდგომ ამბებზე უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ*

### 1974 წლის 30 ივნისი
### ჰანოვერი, გერმანია
### ბრაზილია 2:1 არგენტინა

ეს გახლდათ მეორე ჯგუფური ეტაპის შეხვედრა. ბრაზილიამ, მაშინ ჯერ კიდევ მოქმედმა მსოფლიოს ჩემპიონმა, ანგარიში რიველინოს საფირმო, უძლიერესი დარტყმით გახსნა. არგენტინამ, რომლის შემადგენლობაშიც ახალგაზრდა მარიო კემპესი თამაშობდა, 35-ე წუთზე მიგელ ანხელ ბრინდიზის შესრულებული ოსტატური საჯარიმოთი გაათანაბრა, მაგრამ გამარჯვების გოლი ჟაირზინიომ რიველინოს მსგავსად საჯარიმო მოედნის გარედან შეაგდო.

### 1982 წლის 2 ივლისი
### ბარსელონა, ესპანეთი
### ბრაზილია 3:1 არგენტინა

ამჯერად არგენტინა გახლდათ მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ დამარცხდა. სხვათაშორის, ეს გამოდგა სესარ ლუის მენოტის ბოლო შეხვედრა არგენტინის ეროვნული გუნდის მწვრთნელის რანგში. ფალკაოსა და სოკრატესის დაქარგული კომბინაციებითა და ზიკოს, სერჟინიოსა და ჟუნიორის გოლებით ბრაზილია 3:0 დაწინაურდა, ხოლო ახალგაზრდა დიეგო მარადონას ნერვებმა უმტყუნა და ერთ-ერთ მეტოქეს კარატეს მაგვარი ილეთით, 85-ე წუთზე მუცელში წიხლი ჩაარტყა, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს. 98-ე წუთზე რამონ დიასმა არგენტინელების ერთადერთი საპასუხო გოლი გაიტანა.

### 1990 წლის 24 ივნისი
### ტურინი, იტალია
### არგენტინა 1:0 ბრაზილია

არგენტინა ისევ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს იცავდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე დიეგო მარადონას პასით კლაუდიო კანიჯამ გაიტანა. მოგეხსენებათ, ეს მატჩი ახლახან გახდა დიდი დავისა და კამათის საგანი, რადგან, როგორც არგენტინელების მაშინდელმა მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ მოიგონა, ერთ-ერთ ეპიზოდში ბრაზილიელმა მცველმა ბრანკომ არგენტინელთა ბანაკის მიწოდებული ბოთლიდან წყალი დალია, ხოლო ეს წყალი მოწამლული იყო.

### 2000 წლის 26 ივლისი
### სან პაულუ, ბრაზილია
### ბრაზილია 3:1 არგენტინა

ეს მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი გახლდათ. ბრაზილიელმა ალექსმა გასაოცრად ადრე გახსნა ანგარიში, ხოლო შემდეგ ორი გოლი ვამპეტამ შეაგდო. არგენტინელთაგან მატიას ალმეიდამ ვამპეტას გოლებს შორის მიაღწია თავისას. საინტერესოა, რომ ვამპეტა ბრაზილიელი ნახევარმცველის მეტსახელი იყო და ვამპირისა და სატანას კომბინაცია გახლდათ.

### 2001 წლის 5 სექტემბერი
### ბუენოს აირესი, არგენტინა
### არგენტინა 2:1 ბრაზილია

ამ შესარჩევი მატჩისთვის არგენტინას თავი უკვე ქუდში ჰქონდა, ხოლო ბრაზილიას უჭირდა და მასპინძლების მიერ ბოლო 15 წუთში გატანილი ორი გოლის შემდეგ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. საინტერესოა, რომ ანგარიში ქარის დიდი დახმარებით ბრაზილიელებმა მესამე წუთზევე გახსნეს, უფრო სწორედ კი ბურთი საკუთარ კარში რობერტო აიალას შეუვარდა, თუმცა აიალას ბედი თამაშის მიწურულს ბრაზილიელმა მცველმა კრისმაც გაიზიარა, მანამდე კი ანგარიში მარსელო გალიარდომ გაქვითა.

### 2004 წლის 2 ივნისი ბელუ ორიზონტი, ბრაზილია
### ბრაზილია 3:1 არგენტინა

ესეც შესარჩევი შეხვედრა გახლდათ, რომელშიც რონალდომ პენალტების ჰეთ თრიქი შეასრულა. საპასუხო კი ხუან პაბლო სორინმა შეაგდო.

### 2004 წლის 24 ივლისი
### ლიმა, პერუ
### ბრაზილია 2:2 არგენტინა

ეს იყო კოპა ამერიკას ფინალი, რომელშიც არგენტინამ ბრაზილიას თვალსაჩინოდ აჯობა და ორჯერ ანგარიშითაც წინ იყო, მაგრამ ორივე ტაიმის მიწურულს გაუშვა და საბოლოოდ პენალტებით მოიგო.

### 2005 წლის 8 ივნისი
### ბუენოს აირესი, არგენტინა
### არგენტინა 3:1 ბრაზილია

არგენტინა შესვენებამდე უკვე 3:0-ს იგებდა. მეორე ტაიმის დასაწყისში ბრაზილიელების მეკარე დიდამ პენალტი მოიგერია და ბოლოს რობერტო კარლოსმა საფირმო ჯარიმით, 25 მეტრიდან შეაგდო.

**ბაჩუნა ძიძია**

# ბარსელონა იმიჯს იცვლის
## მაისურა ჩვარი არაა



კატალონიურმა „ბარსელონამ“ გუშინ კლუბის ახალი ფორმა წარუდგინა საზოგადოებას. წინასთან შედარებით სხვაობა ისაა, რომ ფეხბურთელების ტრუსები ახლა წითელი ფერის იქნება, რამაც ძველ ბარსელონელ ვეტერანთა გულისწყრომა გამოიწვია. კლუბის პრეზიდენტ ხუან ლაპორტას განცხადების მიუხედავად, ახალი ფერები ტრადიციას არ შეურაცხყოფსო, „ბარსას“ ოდინდელი მებრძოლები ხასხასა წითელი ფორმით მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ.

„შეიძლება დიზაინის ცალკეული დეტალები შეცვალონ, მაგრამ ფერები კვლავაც იგივე უნდა დარჩეს. ეს არ არის უბრალო ჩვარი, ეს „ბარსელონას“ ისტორიაა“ — აღნიშნა ანხელ პიჩი ალონსომ, ვეტერანმა ფეხბურთელმა.

„ბარსას“ ტრუსები მუდამ ლურჯი ფერისა იყო. ეს აღმაშფოთებელია, თუმც რა გაეწყობა, ეტყობა, ახლა კლუბის უფროსობა სხვანაირად ფიქრობს“ — ეს კი ხოსე მარია ფუსტეს, კიდევ ერთი ვეტერანის სიტყვებია.

ერთი დეტალიც — „ბარსელონას“ ფორმას ჯერჯერობით (ტრადიციისამებრ) ოფიციალური სპონსორის სარეკლამო ლოგო არ ამშვენებს, თუმცა, როგორც ესპანური მედია აცხადებს, ჩინელ პარტნიორებთან მოლაპარაკების შემდეგ, წარწერა კატალონიელთა მაისურაზეც მალე გაჩნდება.

**ლადო ხომერიკი**

# ფიფას კონფედერაციათა თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი

# ფინალი

დღეს. ფრანკფურტი. „ვალდშტადიონი". 22.45

## ბრაზილია — არგენტინა

### სავარაუდო შემადგენლობები

| ბრაზილია | არგენტინა |
|---|---|
| დიდა, სისინიო, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ჟილბერტო, კაკა, ემერსონი, ზე რობერტო, რონალდინიო, ადრიანო, რობინიო | ლუქსი, ძანეტი, კოლოჩინი, მილიტო, ჰაინცე, კამბიასო, სანტანა, რიკელმე, სორინი, ფიგეროა, ტევესი |
| მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა | მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი |

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

# ჩემი პასი შენსას ჯობია
## რონალდინიო VS რიკელმე





**სამი** კვირის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, არგენტინამ ბრაზილიას ბუენოს აირესიდან 3:1 გაატანა, მაგრამ ფიფას მოგონილმა ტურნირმა ორი სამხრეთამერიკული ვეშაპი 21 დღის შემდეგ კვლავ დააჯახა.

კონფედერაციათა თასის ფინალი ფრანკფურტში გაიმართება და ასეთი მატჩების მასპინძლობის პატივი ბევრ ევროპულ ქალაქს არ ღირსებია.

ბრაზილია კონფედერაციათა თასის ფინალში მესამედ გავიდა: 1997 წელს საუდეთში ავსტრალიას მოუგო, ორი წლის შემდეგ კი მეხიკოში მასპინძლებთან დამარცხდა.

არგენტინაც მესამედაა ფინალში — 1992 წელს საუდის არაბეთს აჯობა, 1995-ში კი დანიასთან წააგო. დღეს ვინც მოიგებს, მეორედ დაეუფლება თასს. ამ ტურნირში ორჯერ (2001, 2003) აქამდე მხოლოდ საფრანგეთს უმარჯვია.

იმის გახსენებაც ეგების, რომ ერთი წლის წინ პერუში გამართულ „კოპა ამერიკის" დრამატულ ფინალში ბრაზილიამ არგენტინა პენალტების სერიაში დაამარცხა. გაუჩოები მატჩის მსვლელობისას ორჯერ დაწინაურდნენ, მეორედ 87-ე წუთზე, დელგადოს გოლით, მაგრამ ადრიანომ ბოლოწამს გაათანაბრა.

რონალდინიომ, რომელიც ექვსი წლის წინ ამ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს, გუშინდელ ინტერვიუში განაცხადა: „რა თქმა უნდა, ეს განსაკუთრებული მატჩია და ვიმედოვნებთ, რომ აქედან თასით ხელდამშვენებულნი წავალთ. არგენტინას უდიდეს პატივს ვცემთ, მაგრამ იმ ფეხბურთს ვითამაშებთ, აქამდე რომ არ გვითამაშია. მსგავსი დონის შეხვედრებში მოტივაცია საძებნი არაა".

კითხვაზე, თუ რატომ არიან კარგ გუნებაზე ფინალის წინ მოვარჯიშე ბრაზილიელები, რონალდინიომ უპასუხა: „ეს ჩვეული განწყობაა. ჩვენ სახეზე ღიმილით დავიბადეთ და მთელი ცხოვრება ასე მიდის. ყველაზე მეტად ფეხბურთი გვიყვარს და ამით ვცხოვრობთ".

გერმანიასთან ნახევარფინალურ მატჩში ბრაზილიელთა დიდმეგოლე ადრიანო დაშავდა. ბურთისთვის ამხტარი ცუდად დაეცა და მერე ოდნავ კოჭლობდა. მიუხედავად ამისა, ადრიანომ ისე გემრიელად ითამაშა გერმანელების წინააღმდეგ, რომ საფინალოდ მისი გვარი მთავარი თემა გახდა. ბრაზილიის ნაკრების ექიმმა თქვა, ჩვენს ფორვარდს უმნიშვნელო ტრავმა აქვს და ფინალში აუცილებლად ითამაშებსო.

პენტაკამპეონთა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ განაცხადა, არგენტინელთაგან ყველაზე სახიფათონი ხუან რომან რიკელმე და ხუან პაბლო სორინი არიანო.

„დღევანდელი მატჩი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ფავორიტთა შეხვედრაა — აღნიშნა პარეირამ — ბრაზილიას არავისი ეშინია. ჩვენ მობილიზება გვჭირდება, რადგან არგენტინას ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს".

არგენტინელებს დისკვალიფიცირებული ხავიერ სავიოლა დააკლდებათ. დღევანდელ მატჩში შესაძლოა, ვერც ვალტერ სამუელმა ითამაშოს, გაბრიელ მილიტო ისე კარგად ირჯება, რომ საეჭვოა, ხოსე პეკერმანმა მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში სამუელი გაამწესოს. სავიოლას მაგივრად ეგებ კარლოს ტევესმა ითამაშოს.

გერმანიასთან ნახევარფინალურ მატჩამდე ბრაზილიაზე ამბობდნენ, დაღლილიაო, ახლა იგივეს ამბობენ არგენტინაზეც, რომელმაც მექსიკასთან დამატებით ნახევარი საათი ითამაშა. ხოსე პეკერმანმა ამის თაობაზე განაცხადა: „ჩემს გუნდში ახალგაზრდა და ამბიციური ფეხბურთელები თამაშობენ. ისინი მზად არიან ბრაზილიასთან საომრად".

ლუჩანო ფიგეროამ, რომლის გოლის წყალობითაც არგენტინამ მექსიკასთან ნახევარფინალურ მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა, თქვა: „ეს მატჩი ურთულესი იქნება და მიხარია, რომ ასეთ შეხვედრაში თამაშის შანსი მეძლევა".

დაბოლოს, კონფედერაციათა თასის სტატისტიკოსებმა გამოითვალეს, რომ ყველაზე მეტი და ზუსტი პასი ამ ტურნირზე არგენტინელმა ხუან რომან რიკელმემ და ბრაზილიელმა რონალდინიომ გააკეთეს. ასე რომ, ფინალის ბედი ორი ფეხბურთელის პასებზე დიდად იქნება დამოკიდებული.

**ვაჟა ხუციშვილი**

### კონფედერაციათა თასის ყველა ფინალი 1992-2003

| | |
|---|---|
| 1992 | არგენტინა 3:1 საუდის არაბეთი |
| 1995 | დანია 2:0 არგენტინა |
| 1997 | ბრაზილია 6:0 ავსტრალია |
| 1999 | მექსიკა 4:3 ბრაზილია |
| 2001 | საფრანგეთი 1:0 იაპონია |
| 2003 | საფრანგეთი 1:0 კამერუნი |

# მატჩი მესამე ადგილისთვის

დღეს. ლაიპციგი. „ცენტრალშტადიონი". 19.45

## გერმანია — მექსიკა

### სავარაუდო შემადგენლობები

| გერმანია | მექსიკა |
|---|---|
| კანი, ფრიდრიხი, მერტესაკერი, ჰუთი, ჰიცლშპერგერი, შნაიდერი, ფრინგსი, ბალაკი, შვაინსტაიგერი, კურანი, პოდოლსკი | ო. სანჩესი, ოსორიო, რ. მორალესი, მ. მენდესი, ლ. პერესი, ლოსანო, გ. პინედა, სალკიდო, პარდო, ზინია, ბორგეტი |
| მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი | მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე |

მსაჯი: მეთიუ ბრისი (ავსტრალია)

# მექსიკური სერიალის დასასრული?





რიკარდო ლავოლპე და იურგენ კლინსმანი დღეს სავარაუდოდ, სათადარიგოებს გამოსცდიან

**იურგენ კლინსმანს** ძალიან კი სურდა, მსოფლიო დონის ნაკრების დამარცხება, მაგრამ არ გამოუვიდა და ახლა მესამე ადგილისთვის მექსიკა შერჩა. გერმანიამ არგენტინასთან 2:2 ითამაშა და ნახევარფინალში ბრაზილიასთან 2:3 დამარცხდა. ამჯერად იურგენ კლინსმანს შანსი აქვს, მექსიკელთა 21-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტოს და ეს ამბავი ლაიპციგში უნდა მოხდეს, სადაც მასპინძლებს 42 ათასამდე ქომაგი ეყოლებათ.

მექსიკას ძირითად და დამატებით დროში არასოდეს წაუგია, განვლილ 21 მატჩში, თორემ პენალტების სერიაში უკვე დიდი ხანია, არ უმართლებს. ჯერ კიდევ 1986 წელს, მათსავე სამშობლოში, მაშინდელ ფედერაციულ გერმანიასთან მეოთხედფინალში პენალტებში 1:4 წააგეს.

რვა წლის შემდეგ ამერიკაში, მექსიკა მერვედფინალში თერთმეტმეტრიანი დარტყმების შეჯიბრში ბულგარეთთან დამარცხდა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში მექსიკელებმა მხოლოდ ერთხელ იმარჯვეს პენალტების სერიაში — 1995-ში კონფედერაციათა თასზე ნიგერიას 5:4 სძლიეს.

გერმანიას გამარჯვება სურს, თუნდაც ეს მესამე ადგილისთვის თამაში იყოს და იურგენ კლინსმანი ლაიპციგში შეკრებილთ ბრწყინვალე მატჩს ჰპირდება. „ეს კიდევ ერთი საინტერესო ტესტი იქნება ჩემი გუნდისთვის — აღნიშნა კლინსმანმა — ჩემს ფეხბურთელებს ბრაზილიასთან მარცხის შემდეგ გონზე მოსასვლელად საკმარისზე მეტი დრო დასჭირდათ, მაგრამ მექსიკელებთან შესახვედრად მზად არიან".

ბუნდესნაკრების მწვრთნელი არ გამორიცხავს, რომ მესამე ადგილისთვის მატჩში სათადარიგო ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალებას მისცემს. დღეს შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში ტიმ ბოროვსკი, პატრიკ ოვომოიელა და ფაბიან ერნსტი გამოჩნდნენ.

კლინსმანის კოლეგა ლავოლპეს რაფაელ მარკესი დააკლდება, რომელიც არგენტინასთან შეხვედრაში გააძევეს და სავარაუდოდ, რამდენიმე ფეხბურთელს დასვენების საშუალებას მისცემს, რომლებიც არგენტინასთან „გრძელ" მატჩში დაიღალნენ.

მექსიკელთა ფორვარდი ხარედ ბორგეტი გამარჯვებაზე ფიქრობს: „ახლა ჩვენ გერმანიის დამარცხება და მესამე ადგილის დაკავება გვმართებს. ეს მატჩი განსაკუთრებულია, რადგან მასპინძელი გუნდის წინააღმდეგ ვთამაშობთ".

აქ უნდა გავიხსენოთ მექსიკის ნაკრების მწვრთნელ რიკარდო ლავოლპეს სიტყვები, რომელიც მან არგენტინასთან ნახევარფინალური მატჩის წინ თქვა: „კონფედერაციათა თასის ფინალში თუ გავედით, მაშინ გერმანიასთან შეხვედრას ვისურვებ, რადგან გადაჭედილი სტადიონის ფონზე თამაში გვსურს". ლავოლპეს სურვილი ახდა, ოღონდ მატჩი მესამე ადგილისთვის იქნება.

გერმანიის ნაკრების მენეჯერმა ოლივერ ბირჰოფმა განაცხადა: „რა თქმა უნდა, ჩვენ ტურნირის გამარჯვებით დასრულება გვსურს, რათა გუნდში სასურველი განწყობა შევინარჩუნოთ", ხოლო იურგენ კლინსმანმა აღნიშნა: „ფეხბურთელებს შვებულებაში მშვიდად გასვლის უფლება ექნებათ, თუკი მექსიკასთან ბოლომდე დაიხარჯებიან და ამ მატჩს მოიგებენ".

კონფედერაციათა თასის პირველ მატჩში გერმანიის კარში ოლივერ კანი იდგა და ტურნირსაც ის დაასრულებს. მიუნხენის „ბაიერნის" მეკარემ მეტოქე აქო: „თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათ ბრაზილია დაამარცხეს, მაშინ ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდთან გველის თამაში. მექსიკა ხომ მსოფლიო რეიტინგში მეექვსე ადგილზეა და აქაც აჩვენა თავისი ძალა".

**ვაჟა ხუციშვილი**

# თუკი სისულელე თავს კომფორტულად გაგრძნობინებს
## კანისარესი იაშინს ინატრებდა

*„ვალენსია“ ესპანეთის ერთ-ერთი უდიდესი კლუბია, მაგრამ ბოლო პერიოდამდე მისი ყველაზე დიდი მიღწევები 1940 და 1960-იანი წლებით თარიღდებოდა. ახლახან, საუკუნეების გასაყარზე, გუნდმა ისევ ამოიღო ხმა და მთელ ევროპას შეახსენა, რომ უძლიერესთა შორის ღირსეული ადგილი ეკუთვნის — ხუთჯერ ესპანეთის ჩემპიონი გახდა, ხოლო ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა. მანვე, დაარსების 85-ე წლისთავზე მესამედ მოიპოვა უეფას თასი (პირველად 1963 წელს ჰქონდა მოპოვებული) და სხვა ისეთ შედეგებსაც მიაღწია, რომლებზეც აქ აღარ შევჩერდებით.*

*„ვალენსიას“ სტადიონი, „მესტალია“ თავის დროზე გახლდათ სახლი ისეთი დიდი ფეხბურთელებისთვის, როგორებიც იყვნენ დიეგო მარადონა და მარიო კემპესი, მაგრამ მასზე დღეს შეკრებილ 55 ათას გულშემატკივარს თუ ჰკითხავთ, ისტორიაში ყველაზე დიადი მესტალიელი მეკარე სანტიაგო კანისარეს რუისია, რომელსაც გუნდის საწვრთნელ ცენტრში, პატერნაში ჟურნალ* **CHANPION**-*ის კორესპონდენტი მარსელა მორა იარუახო შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა.*

*ესპანურ პრესაში ხშირად წერენ, რომ კანისარესი „ვალენსიას“ გაშვებულ გოლებში, როგორც წესი, მცველებს ადანაშაულებს და მათვე ეჩხუბება. კიდევ, მასზე ამბობენ, რომ საშინლად პრანჭიაა, რასაც ყვითლად შეღებილი თმა და ქცევის პოზიორული მანერებიც ადასტურებს, თუმცა ისიც არ გამოდგება ურიგო მაგალითად, მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე წასვლის წინ სააბაზანოში ხელიდან ოდეკოლონის ბოთლი რომ გაუვარდა და ფეხი ისე დაიზიანა, იძულებული გახდა შინ დარჩენილიყო.*

*არადა, სანტიაგო კანისარესი ოცი წელიწადია კარში დგას და ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ბებერი პროფესიონალია*



— ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ?

— ის, ვინც გოლს არ უშვებს. საუკეთესო მეკარეები, საერთოდ, საუკეთესო გუნდებში დგანან. გადახედეთ ევროპის საუკეთესო გუნდებს და ნახავთ, რომ თითოეულ მათგანს კარგი მეკარე ჰყავს. ამ მეკარეთაგან ნებისმიერს შეგვიძლია მსოფლიოს საუკეთესო ვუწოდოთ, ოღონდ გააჩნია, რომელს დროის რომელი მონაკვეთის მიხედვით განვსჯით.

**— ესპანეთშიც ტრადიციულად კარგი მეკარეები თამაშობენ...**

— მეკარეობას ჩემს მოწოდებად პატარა ბიჭობიდან მივიჩნევდი და ჩემთან ერთად ასევე იყო ბევრი სხვა ბავშვიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ესპანეთში მეკარე დაფასებულია და მას ნებისმიერ, კარგ თუ ცუდ შეხვედრაში ყურადღებას აქცევენ. ჰოდა, როდესაც გუნდში ასეთი პატივცემული და მნიშვნელოვანი მოთამაშე ხარ, ბუნებრივია, ყველა ბავშვი გბაძავს და მასაც მეკარეობა უნდება.

**— ჩემპიონთა ლიგის ფინალში წაგება საძაგელი გრძნობაა?**

— საოცარი იმედი და მოლოდინი გვქონდა. ჩვენს გუნდს ჩემპიონთა თასი არასდროს მოუგია და ამიტომ მიზანთან ასე ახლოს ყოფნამ პირში აშკარად ცუდი გემო დაგვიტოვა. მეორე მხრივ, მთელ ამ ისტორიაში მონაწილეობამ დიდი სიამაყის გრძნობაც მომანიჭა.

**— ფსიქოლოგიურ თამაშებს მისდევთ?**

— როდესაც მეკარე ხარ და პენალტი უნდა დაგირტყან, ვალდებული ხარ პენალტისტის ყურადღება მიიპყრო. რამენაირად უნდა აგრძნობინო, რომ გატანა ძალიან გაუჭირდება. ფიზიკურად პენალტის მოგერიება უძნელესი საქმეა, ამიტომ სხვა მეთოდებს უნდა მისდიო. კერძოდ, ფსიქოლოგიას ვგულისხმობ. თუ პენალტისტი ბურთს მშვიდად არტყამს, ის გოლს გაიტანს, მეკარეს კი ძალიან გაუჭირდება რაიმე წინააღმდეგობის გაწევა. სხვა საქმეა, თუ მეკარე მოახერხებს და პენალტისტს სიტუაციას რთული კუთხით დაანახვებს, მაშინ თავდამსხმელს პრობლემები გაუჩნდება. მოკლედ, მთელი ამოცანა ესაა: მეკარემ პენალტისტს ყურადღება იმდენად უნდა მოსტაცოს, რომ მან ბურთს გამართულად ვერ დაარტყას.

**— 2001 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში მიუნხენელმა მეჰმეთ შოლმა მე-7 წუთზე პენალტი ვერ გაგიტანათ. რა უთხარით ასეთი?**

— აბა, რა შეიძლებოდა მისთვის მეთქვა, თუკი მე ესპანურად ვლაპარაკობ, ხოლო ის გერმანულად. საქმე ნათქვამ სიტყვებში სულაც არ არის. მე მას უბრალოდ, ვაგრძნობინე, რომ იქ ვარ და გოლის გატანა გაუჭირდება. გამიმართლა კიდეც, მან ვერ გაიტანა. მცირე დროის განმავლობაში მართლაც ბედნიერი კაცი ვიყავი, მაგრამ ბოლოს მან უფრო ხმამაღლა იცინა, იმიტომ, რომ თასს დაეუფლა.

**— პრიმერადივიზიონი თუ ჩემპიონთა ლიგა?**

— „ვალენსიასთვის“ მუდმივი ამოცანა ოთხეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა, ნებისმიერ უფრო მაღალ მიღწევას კი დიდი სიამოვნებით ვიზეიმებთ. მოკლედ, ჩვენ ყველაფრისთვის ვიბრძვით, ხოლო პრიორიტეტები არ გვაქვს, არის უბრალოდ, გამარჯვების სურვილი.

**— რომელ თავდამსხმელს უფრთხით ყველაზე მეტად?**

— ყველაზე მეტად ისინი მატერორებენ, ვისაც კარიდან რამდენიმე მეტრში, ცოტა მცველების წინააღმდეგ დარჩენილებს ბურთის კონტროლი ესერხებათ. ინდივიდუალისტები ნებისმიერი სპეციფიკური სიტუაციისთვის უკეთ არიან მომზადებულნი და ჩემი მცველებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უპირატესობას ისინი ფლობენ. სხვა მხრივ კი არავინ მადარდებს. მეტიც, ფეხბურთელები, რომელთაც სხვებზე მეტად ვუფრთხი, ხშირად სულაც არ არიან თავდამსხმელები.

**— ყველა დროის ფეხბურთელთაგან, ვისთან ინატრებდით საუბარს?**

—ჰო... ცხადია, მეკარე უნდა ვთქვა... ლევ იაშინთან.

**— თქვენი გმირები ვინ არიან?**

— უამრავ ფეხბურთელს ვეთაყვანები. უზარმაზარ პატივს ვცემ მათ, ვინც წლობით შეძლო დიდი ფეხბურთის თამაში. მათ, ვინც ერთ მუნდიალზე ან ერთ ევროპულ სეზონში გაიბრწყინა და მერე აღარ გამოჩენილა, ჩემს გმირთა სიაში არ მოვიხსენიებ. ის, ვინც ჩემი აზრით დიდი ფეხბურთელია, ათ წელიწადს მაინც თამაშობს უმაღლეს დონეზე და ემბლემურ ფიგურად ყალიბდება.

**— როგორც მეკარეს ყვირილი თუ გშველით?**

— დახმარება არაფერ შუაშია, ყვირილი აუცილებელია. მე უნდა დავალაგო ყველაფერი ისე, რომ თავი საუკეთესოდ დავიცვათ და მათ საბოლოო დარტყმას ჩვენთვის საუკეთესო მდგომარეობაში შევხვდეთ. მეკარეს მართლაც სჭირდება გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, რათა თამაშის მსვლელობისას თანაგუნდელები გადააწყოს, ხოლო იმ თანაგუნდელებს მისი პატივისცემა უნდა ჰქონდეთ და სწამდეთ, რომ მათი მეკარის ნათქვამი, საქმისთვის სასარგებლოა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე სამწუხარო ინციდენტის გამო ვერ წახვედით. ნუთუ მსოფლიოს ყველაზე უიღბლო მეკარე თქვენ ხართ?**

— პირიქით, თავს ძალიან ბედნიერ ადამიანად ვგრძნობ. ფეხი გატეხილი ბოთლით მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის წინ დავიშავე, რამდენიმე კვირით ადრე კი „ვალენსიასთან“ ერთად მოვიგე ესპანეთის ჩემპიონის ტიტული. „ვალენსიას“ მანამდე 31 წელიწადი არაფერი მოეგო. კიდევ, ზამორას პრიზი მოვიგე, რაც იმას ნიშნავს, რომ ესპანელ მეკარეებს შორის ყველაზე ნაკლები გოლი გავუშვი. და, ეს ყველაფერი ერთ კვირაში მოხდა. ჰოდა, რატომ უნდა ვთქვა ამდენი წარმატების შემდეგ ცუდი იღბალზე? ეს წარმატებები სამარადჟამოა, ფეხის გაჭრა კი უფრო ანეკდოტია და ამადაც დარჩება.

**— რას ურჩევდით ახალგაზრდა ფეხბურთელებს?**

— მთელი ძალით იბრძოლონ ბედნიერებისთვის და არასდროს გაუტყდეთ გული.

**— რა თვისებებს აფასებთ ფეხბურთელში?**

— პატიოსნებას და გუნდის სამსახურში დგომას.

**— მოედანზე ბოლოს როდის გაბრაზდით?**

— უკლებლივ ყოველ შეხვედრაში მაქვს გაბრაზების და იმის საბაბი, რომ ეს სიბრაზე დიდხანს არ გამყვეს.

**— თქვენი კარიერის უარესი მომენტი რომელი იყო?**

— იმედი მაქვს, რომ სწორედაც იყო და წინ აღარ მელის... ძალიან ცუდი პერიოდი მქონდა, როდესაც 20 წლისა ვიყავი, მეორე დივიზიონის გუნდში ვთამაშობდი და საშინელი სეზონი მქონდა. მაშინ მთელი ზაფხული ახალი გუნდის ძებნაში გავატარე. სადმე ხომ უნდა მოვწყობილიყავი, ახალ სეზონში რომ მეთამაშა.

**— ცრუმორწმუნე ხართ?**

— ძალიან. ყოველთვის წითელი პირსახოცით გავდივარ სათამაშოდ, ფეხზე აუცილებლად ჯერ მარჯვენა ბუცს ვიცვამ... სისულელეებია, არაფერს არ ნიშნავს, მაგრამ თავს კომფორტულად მაგრძნობინებს.

**— ფეხბურთელი რომ არ გამოსულიყავით, ვინ იქნებოდით?**

— 15 წლიდან პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და ცოტა ძნელია, სხვა რამის წარმოდგენა. ალბათ რამეს ვისწავლიდი, მაგრამ რას, ვერ გეტყვით.

**— იქნებ მწვრთნელი გამოხვიდეთ?**

— დიახ, საამისოდ უკვე ვემზადები და პირველი კურსი უკვე დავამთავრე კიდეც.

**— ესპანურ ფეხბურთში ერთი რამის შეცვლის უფლება რომ მოგცენ, რას შეცვლიდით?**

— პასუხი აშკარაა: სტადიონებზე ხალხის ქცევას. მე გულშემატკივრის მანერები ძალიან არ მომწონს.



სანტიაგო კანისარესისთვის 2001 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი ავადმოსაგონარია

# გერმანიის ბუნდესლიგა 2005-2006



„ბაიერნის" მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა ლუდით ყელი ვინძლო, 2006 წლის 13 მაისსაც გაისველოს

## 2005 წელი

**1-ლი ტური: 5-6 აგვისტო**
ბაიერნი : გლადბახი
ვერდერი : არმინია
ჰანოვერი : ჰერტა
აინტრახტი : ლევერკუზენი
ვოლფსბურგი : დორტმუნდი
შალკე : ლაუტერნი
დუისბურგი : შტუტგარტი
კიოლნი : მაინცი
ჰამბურგი : ნიურნბერგი

**მე-2 ტური: 13 აგვისტო**
ნიურნბერგი : ჰანოვერი
არმინია : ჰამბურგი
მაინცი : ვერდერი
შტუტგარტი : კიოლნი
ლაუტერნი : დუისბურგი
დორტმუნდი : შალკე
გლადბახი : ვოლფსბურგი
ლევერკუზენი : ბაიერნი
ჰერტა : აინტრახტი

**მე-3 ტური: 27 აგვისტო**
ვერდერი : შტუტგარტი
არმინია : მაინცი
აინტრახტი : ნიურნბერგი
ბაიერნი : ჰერტა
ვოლფსბურგი : ლევერკუზენი
შალკე : გლადბახი
დუისბურგი : დორტმუნდი
კიოლნი : ლაუტერნი
ჰამბურგი : ჰანოვერი

**მე-4 ტური: 10 სექტემბერი**
ნიურნბერგი : ბაიერნი
ჰანოვერი : აინტრახტი
მაინცი : ჰამბურგი
შტუტგარტი : არმინია
ლაუტერნი : ვერდერი
დორტმუნდი : კიოლნი
გლადბახი : დუისბურგი
ლევერკუზენი : შალკე
ჰერტა : ვოლფსბურგი

**მე-5 ტური: 17 სექტემბერი**
ვერდერი : დორტმუნდი
არმინია : ლაუტერნი
მაინცი : შტუტგარტი
ბაიერნი : ჰანოვერი
ვოლფსბურგი : ნიურნბერგი
შალკე : ჰერტა
დუისბურგი : ლევერკუზენი
კიოლნი : გლადბახი
ჰამბურგი : აინტრახტი

**მე-6 ტური: 21 სექტემბერი**
ნიურნბერგი : შალკე
ჰანოვერი : ვოლფსბურგი
აინტრახტი : ბაიერნი
შტუტგარტი : ჰამბურგი
ლაუტერნი : მაინცი
დორტმუნდი : არმინია
გლადბახი : ვერდერი
ლევერკუზენი : კიოლნი
ჰერტა : დუისბურგი

**მე-7 ტური: 24 სექტემბერი**
ვერდერი : ლევერკუზენი
არმინია : გლადბახი
მაინცი : დორტმუნდი
შტუტგარტი : ლაუტერნი
ვოლფსბურგი : აინტრახტი
შალკე : ჰანოვერი
დუისბურგი : ნიურნბერგი
კიოლნი : ჰერტა
ჰამბურგი : ბაიერნი

**მე-8 ტური: 1 ოქტომბერი**
ნიურნბერგი : კიოლნი
ჰანოვერი : დუისბურგი
აინტრახტი : შალკე
ბაიერნი : ვოლფსბურგი
ლაუტერნი : ჰამბურგი
დორტმუნდი : შტუტგარტი
გლადბახი : მაინცი
ლევერკუზენი : არმინია
ჰერტა : ვერდერი

**მე-9 ტური: 15 ოქტომბერი**
ვერდერი : ნიურნბერგი
არმინია : ჰერტა
მაინცი : ლევერკუზენი
შტუტგარტი : გლადბახი
ლაუტერნი : დორტმუნდი
შალკე : ბაიერნი
დუისბურგი : აინტრახტი
კიოლნი : ჰანოვერი
ჰამბურგი : ვოლფსბურგი

**მე-10 ტური: 22 ოქტომბერი**
ნიურნბერგი : არმინია
ჰანოვერი : ვერდერი
აინტრახტი : კიოლნი
ბაიერნი : დუისბურგი
ვოლფსბურგი : შალკე
დორტმუნდი : ჰამბურგი
გლადბახი : ლაუტერნი
ლევერკუზენი : შტუტგარტი
ჰერტა : მაინცი

**მე-11 ტური: 29 ოქტომბერი**
ვერდერი : აინტრახტი
არმინია : ჰანოვერი
მაინცი : ნიურნბერგი
შტუტგარტი : ჰერტა
ლაუტერნი : ლევერკუზენი
დორტმუნდი : გლადბახი
დუისბურგი : ვოლფსბურგი
კიოლნი : ბაიერნი
ჰამბურგი : შალკე

**მე-12 ტური: 5 ნოემბერი**
ნიურნბერგი : შტუტგარტი
ჰანოვერი : მაინცი
აინტრახტი : არმინია
ბაიერნი : ვერდერი
ვოლფსბურგი : კიოლნი
შალკე : დუისბურგი
გლადბახი : ჰამბურგი
ლევერკუზენი : დორტმუნდი
ჰერტა : ლაუტერნი

**მე-13 ტური: 19 ნოემბერი**
ვერდერი : ვოლფსბურგი
არმინია : ბაიერნი
მაინცი : აინტრახტი
შტუტგარტი : ჰანოვერი
ლაუტერნი : ნიურნბერგი
დორტმუნდი : ჰერტა
გლადბახი : ლევერკუზენი
კიოლნი : შალკე
ჰამბურგი : დუისბურგი

**მე-14 ტური: 26 ნოემბერი**
ნიურნბერგი : დორტმუნდი
ჰანოვერი : ლაუტერნი
აინტრახტი : შტუტგარტი
ბაიერნი : მაინცი
ვოლფსბურგი : არმინია
შალკე : ვერდერი
დუისბურგი : კიოლნი
ლევერკუზენი : ჰამბურგი
ჰერტა : გლადბახი

**მე-15 ტური: 3 დეკემბერი**
ვერდერი : დუისბურგი
არმინია : შალკე
მაინცი : ვოლფსბურგი
შტუტგარტი : ბაიერნი
ლაუტერნი : აინტრახტი
დორტმუნდი : ჰანოვერი
გლადბახი : ნიურნბერგი
ლევერკუზენი : ჰერტა
ჰამბურგი : კიოლნი

**მე-16 ტური: 10 დეკემბერი**
ნიურნბერგი : ლევერკუზენი
ჰანოვერი : გლადბახი
აინტრახტი : დორტმუნდი
ბაიერნი : ლაუტერნი
ვოლფსბურგი : შტუტგარტი
შალკე : მაინცი
დუისბურგი : არმინია
კიოლნი : ვერდერი
ჰამბურგი : ჰერტა

**მე-17 ტური: 17 დეკემბერი**
ვერდერი : ჰამბურგი
არმინია : კიოლნი
მაინცი : დუისბურგი
შტუტგარტი : შალკე
ლაუტერნი : ვოლფსბურგი
დორტმუნდი : ბაიერნი
გლადბახი : აინტრახტი
ლევერკუზენი : ჰანოვერი
ჰერტა : ნიურნბერგი

## 2006 წელი

**მე-18 ტური: 28 იანვარი**
არმინია : ვერდერი
ჰერტა : ჰანოვერი
ლევერკუზენი : აინტრახტი
გლადბახი : ბაიერნი
დორტმუნდი : ვოლფსბურგი
ლაუტერნი : შალკე
შტუტგარტი : დუისბურგი
მაინცი : კიოლნი
ნიურნბერგი : ჰამბურგი

**მე-19 ტური: 4 თებერვალი**
ჰანოვერი : ნიურნბერგი
ჰამბურგი : არმინია
ვერდერი : მაინცი
კიოლნი : შტუტგარტი
დუისბურგი : ლაუტერნი
შალკე : დორტმუნდი
ვოლფსბურგი : გლადბახი
ბაიერნი : ლევერკუზენი
აინტრახტი : ჰერტა

**მე-20 ტური: 8 თებერვალი**
შტუტგარტი : ვერდერი
მაინცი : არმინია
ნიურნბერგი : აინტრახტი
ჰერტა : ბაიერნი
ლევერკუზენი : ვოლფსბურგი
გლადბახი : შალკე
დორტმუნდი : დუისბურგი
ლაუტერნი : კიოლნი
ჰანოვერი : ჰამბურგი

**21-ე ტური: 11 თებერვალი**
ბაიერნი : ნიურნბერგი
აინტრახტი : ჰანოვერი
ჰამბურგი : მაინცი
არმინია : შტუტგარტი
ვერდერი : ლაუტერნი
კიოლნი : დორტმუნდი
დუისბურგი : გლადბახი
შალკე : ლევერკუზენი
ვოლფსბურგი : ჰერტა

**22-ე ტური: 18 თებერვალი**
დორტმუნდი : ვერდერი
ლაუტერნი : არმინია
შტუტგარტი : მაინცი
ჰანოვერი : ბაიერნი
ნიურნბერგი : ვოლფსბურგი
ჰერტა : შალკე
ლევერკუზენი : დუისბურგი
გლადბახი : კიოლნი
აინტრახტი : ჰამბურგი

**23-ე ტური: 25 თებერვალი**
შალკე : ნიურნბერგი
ვოლფსბურგი : ჰანოვერი
ბაიერნი : აინტრახტი
ჰამბურგი : შტუტგარტი
მაინცი : ლაუტერნი
არმინია : დორტმუნდი
ვერდერი : გლადბახი
კიოლნი : ლევერკუზენი
დუისბურგი : ჰერტა

**24-ე ტური: 4 მარტი**
ლევერკუზენი : ვერდერი
გლადბახი : არმინია
დორტმუნდი : მაინცი
ლაუტერნი : შტუტგარტი
აინტრახტი : ვოლფსბურგი
ჰანოვერი : შალკე
ნიურნბერგი : დუისბურგი
ჰერტა : კიოლნი
ბაიერნი : ჰამბურგი

**25-ე ტური: 11 მარტი**
კიოლნი : ნიურნბერგი
დუისბურგი : ჰანოვერი
შალკე : აინტრახტი
ვოლფსბურგი : ბაიერნი
ჰამბურგი : ლაუტერნი
შტუტგარტი : დორტმუნდი
მაინცი : გლადბახი
არმინია : ლევერკუზენი
ვერდერი : ჰერტა

**26-ე ტური: 18 მარტი**
ნიურნბერგი : ვერდერი
ჰერტა : არმინია
ლევერკუზენი : მაინცი
გლადბახი : შტუტგარტი
დორტმუნდი : ლაუტერნი
ბაიერნი : შალკე
აინტრახტი : დუისბურგი
ჰანოვერი : კიოლნი
ვოლფსბურგი : ჰამბურგი

**27-ე ტური: 25 მარტი**
არმინია : ნიურნბერგი
ვერდერი : ჰანოვერი
კიოლნი : აინტრახტი
დუისბურგი : ბაიერნი
შალკე : ვოლფსბურგი
ჰამბურგი : დორტმუნდი
ლაუტერნი : გლადბახი
შტუტგარტი : ლევერკუზენი
მაინცი : ჰერტა

**28-ე ტური: 1 აპრილი**
აინტრახტი : ვერდერი
ჰანოვერი : არმინია
ნიურნბერგი : მაინცი
ჰერტა : შტუტგარტი
ლევერკუზენი : ლაუტერნი
გლადბახი : დორტმუნდი
ვოლფსბურგი : დუისბურგი
ბაიერნი : კიოლნი
შალკე : ჰამბურგი

**29-ე ტური: 8 აპრილი**
შტუტგარტი : ნიურნბერგი
მაინცი : ჰანოვერი
არმინია : აინტრახტი
ვერდერი : ბაიერნი
კიოლნი : ვოლფსბურგი
დუისბურგი : შალკე
ჰამბურგი : გლადბახი
დორტმუნდი : ლევერკუზენი
ლაუტერნი : ჰერტა

**30-ე ტური: 15 აპრილი**
ვოლფსბურგი : ვერდერი
ბაიერნი : არმინია
აინტრახტი : მაინცი
ჰანოვერი : შტუტგარტი
ნიურნბერგი : ლაუტერნი
ჰერტა : დორტმუნდი
ლევერკუზენი : გლადბახი
შალკე : კიოლნი
დუისბურგი : ჰამბურგი

**31-ე ტური: 22 აპრილი**
დორტმუნდი : ნიურნბერგი
ლაუტერნი : ჰანოვერი
შტუტგარტი : აინტრახტი
მაინცი : ბაიერნი
არმინია : ვოლფსბურგი
ვერდერი : შალკე
კიოლნი : დუისბურგი
ჰამბურგი : ლევერკუზენი
გლადბახი : ჰერტა

**32-ე ტური: 2 მაისი**
დუისბურგი : ვერდერი
შალკე : არმინია
ვოლფსბურგი : მაინცი
ბაიერნი : შტუტგარტი
აინტრახტი : ლაუტერნი
ჰანოვერი : დორტმუნდი
ნიურნბერგი : გლადბახი
ჰერტა : ლევერკუზენი
კიოლნი : ჰამბურგი

**33-ე ტური: 6 მაისი**
ლევერკუზენი : ნიურნბერგი
გლადბახი : ჰანოვერი
დორტმუნდი : აინტრახტი
ლაუტერნი : ბაიერნი
შტუტგარტი : ვოლფსბურგი
მაინცი : შალკე
არმინია : დუისბურგი
ვერდერი : კიოლნი
ჰერტა : ჰამბურგი

**34-ე ტური: 13 მაისი**
ჰამბურგი : ვერდერი
კიოლნი : არმინია
დუისბურგი : მაინცი
შალკე : შტუტგარტი
ვოლფსბურგი : ლაუტერნი
ბაიერნი : დორტმუნდი
აინტრახტი : გლადბახი
ჰანოვერი : ლევერკუზენი
ნიურნბერგი : ჰერტა

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| | 1 | ტომი-დინამო | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| 15:00 | 2 | კრილია-როსტოვი | 1.55 | 3.70 | 5.30 | 1.09 | 1.19 | 2.17 |
| 15:00 | 3 | სატურნი-სპარტაკი | 3.20 | 3.00 | 2.20 | 1.54 | 1.30 | 1.26 |
| 15:00 | 4 | შინიკი-მოსკოვი | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 15:00 | 5 | ტერეკი-ალანია | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 15:00 | 6 | ტორპედო-რუბინი | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 15:00 | 7 | ზენიტი-ამქარი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 8 | ლოკომოტივი-ტერეკი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| | 18 | ხამკამი-ბოდო | 1.50 | 4.30 | 5.00 | 1.11 | 1.15 | 2.31 |
| | 19 | [illegible] | 4.00 | 4.20 | 1.65 | 2.04 | 1.16 | 1.18 |
| | 20 | [illegible]-ბრანი | 4.50 | 4.00 | 1.55 | 2.11 | 1.15 | 1.11 |
| 20:00 | 21 | [illegible] | 1.95 | 3.90 | 3.00 | 1.29 | 1.18 | 1.69 |
| 20:00 | 22 | მოლდე-სტარტი | 1.60 | 4.00 | 4.50 | 1.14 | 1.18 | 2.11 |
| 20:00 | 23 | [illegible] | 1.15 | 7.30 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 4.21 |
| 20:00 | 24 | [illegible] | 2.00 | 3.90 | 2.90 | 1.32 | 1.18 | 1.66 |
| 20:00? | 25 | [illegible] | 2.05 | 4.00 | 2.80 | 1.35 | 1.18 | 1.64 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 22:00? | 30 | გიოტებორგი-ჰალმსტადი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 47 | მიუპა-მარიეჰამნი | 1.45 | 4.00 | 6.00 | 1.06 | 1.16 | 2.40 |
| 20:00 | 48 | ალიანსი-ტამპერე | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 20:00 | 49 | ინტერი-ტეპე | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 20:00 | 50 | იარო-ჰაკა | 4.30 | 3.20 | 1.75 | 1.83 | 1.24 | 1.13 |
| 20:00 | 51 | ლაჰტი-ტპ 47 | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 20:00 | 52 | როვანიემი-კუოპიო | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 53 | ჰჯკ-ჰაკა | 3.80 | 3.20 | 1.95 | 1.73 | 1.28 | 1.21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 23:15 | 61 | აკრანესი-ვესტმანაეიარი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 23:15 | 62 | ჰაფნარფიორდური-ფრამი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 23:45 | 63 | კეფლავიკი-გრინდავიკი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 23:15 | 64 | თროტური-ვალური | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **1 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 67 | ბოჰემიანი-უოტერფორდი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 22:45 | 68 | დროგედა-ბრეი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 22:45 | 69 | დუბლინი-კორკი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 23:00 | 70 | შელბურნი-დერი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 71 | ლონგფორდი-შემროკი | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 22:45 | 72 | პერპსი-სტ.პატრიკსი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2.5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12216 | ბრაზილია-არგენტინა | 1.90 | 1.70 |
| 12217 | გერმანია-მექსიკა | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13216 | ბრაზილია-არგენტინა | 1.60 | 1.95 |
| 13217 | გერმანია-მექსიკა | 1.70 | 1.90 |

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | [illegible] |
|---|---|---|---|
| 17216 | ბრაზილია-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17217 | გერმანია-მექსიკა | 1.85 | 1.95 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

([illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14216 | ბრაზილია-არგენტინა | 1.80 | 1.90 |
| 14217 | გერმანია-მექსიკა | 1.60 | 2.05 |

| | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11216 | ბრაზილია-არგენტინა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 4.90 |
| 11217 | გერმანია-მექსიკა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15216 | ბრაზილია-არგენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | გერმანია-მექსიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10216 | ბრაზილია-არგენტინა | 2.80 | 1.90 | 3.40 | 1.13 | 1.53 | 1.21 |
| 10217 | გერმანია-მექსიკა | 2.20 | 2.00 | 4.60 | 1.04 | 1.48 | 1.39 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 83 | კანზასი-კოლამბუსი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 23:45 | 84 | ჩიკაგო-ვაშინგტონი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 85 | სან ხოსე-კოლორადო | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 122 | ჰამარი-ბრინი | 1.65 | 3.70 | 4.30 | 1.14 | 1.19 | 1.98 |
| 20:00 | 123 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 20:00 | 124 | ბრანი-ალესუნდი | 1.40 | 4.10 | 6.60 | 1.04 | 1.15 | 2.52 |
| 20:00 | 125 | ოდ გრენლანდი-ალტა | 1.20 | 6.00 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.59 |
| 20:00 | 127 | სტაბეკი-ფრედრიკსტადი | 2.50 | 3.30 | 2.45 | 1.42 | 1.23 | 1.40 |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 126 | რუსენბორგი-პიონეფოსი | 1.15 | 7.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.42 |
| 21:00 | 128 | სტარტი-ვოლერენგა | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 21:00 | 227 | ვიკინგი-ლილესტრიომი | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 129 | ატვიდაბერგი-ტრელებორგი | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 130 | ჰეკენი-მალმიო | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| | | **კონფედერაციის თასი** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 216 | ბრაზილია-არგენტინა | 2.30 | 3.10 | 2.95 | 1.32 | 1.29 | 1.51 |
| 19:45 | 217 | გერმანია-მექსიკა | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **29 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 131 | რივერ პლეიტი-სან პაულუ | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 132 | ჩივასი-ატლეტიკო პრ | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**კაცები**

**29 ივნისი**

15:00 223 ნალბანდიანი-იოჰანსონი ტ ------------ 1.70 ------------------------------ 1.90
15:00 224 როდიკი-გროსჟანი ---------------------- 1.15 ------------------------------ 4.50
15:00 225 ფედერერი-გონსალესი ----------------- 1.05 ------------------------------ 9.00
15:00 226 ჰიუიტი-ლოპესი ფ --------------------- 1.35 ------------------------------ 3.00

CROCO BOOKMAKERS

კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**




# სპეცოპერაცია

## ძიუდოისტებს გამოძალვას ედავებიან

**ბუშინ**, ნაშუადღევს, იპოდრომის ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს საქართველოს ნაკრების ორი ძიუდოისტი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები — გიორგი რევაზიშვილი და ალექსი დავითაშვილი. სამართალდამცავთა მტკიცებით, ისინი საბერძნეთის მოქალაქე გივი იორდანოვს 8 ათას დოლარს სძალავდნენ.

საღამოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფარული კამერით გადაღებული კადრები გაავრცელა, რომელშიც იორდანოვისა და ძიუდოისტების იპოდრომთან შეხვედრა და საუბარია ჩაწერილი. მასში აშკარად ჩანს, რომ სპორტსმენები ფულს ითხოვენ, თუმცა დაკავებულთა ახლობლები გამოძალვის ვერსიას კატეგორიულად უარყოფენ.

საქართველოს ნაკრების წევრები და დავითაშვილ-რევაზიშვილის ნაცნობ-მეგობრები შსს-ს შენობასთან შეიკრიბნენ, მოგვიანებით კი უშიშროების იზოლატორთან გადაინაცვლეს და დაღამებამდე იქვე დარჩნენ.

მათი მტკიცებით, ძიუდოისტები ბერძენი ბიზნესმენისგან ძველი ვალის დაბრუნებას მოითხოვდნენ, მან კი საქმეში სამართალდამცავები ჩარია, მიშველეთ, ფულს მძალავენო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

კალათბურთი

# რამაზ გოგოზერიშვილი ხალხში გაერია


რამაზ გოგობერიშვილი

**ორიოდ** კვირის წინ ცნობილმა კალათბურთელმა რამაზ გოგობერიშვილმა კაფე „მსოფლიო სპორტს" საკუთარი მაისურა გადასცა სამახსოვროდ და ზედ თავისი ავტოგრაფიც ლაურთო, გუშინ კი ამ კაფეგალერეას უსტაბაშებმა გოგობერიშვილის მაისურა საზეიმო ვითარებაში კედელზე გამოფინეს.

ახლა არ მოვყვებით იმ მსოფლიოს ლეგენდების ჩამოთვლას, რომელთა მაისურას, ხელთათმანს, ჩოგანს, ყვანჯსა და ბოლიდს ნახავთ აქ. უბრალოდ ვიტყვით, რომ ბევრი ცნობილი ათლეტის სპორტული აღჭურვილობა, ინვენტარი თუ ფოტო ამშვენებს ამ კაფეს.

ქართველი სპორტსმენების მაისურებიც ბლომადაა „მსოფლიო სპორტში", მათ შორის, რა თქმა უნდა, კალათბურთელებისაც: ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ზაზა ფაჩულია, ვლადიმერ სტეფანია და კარიერადასრულებული ნიკოლოზ დერიუგინი — ასეთ ხალხში გარევა დიდი პატივია ნებისმიერისთვის და ეს თავად გოგობერიშვილსაც კარგად აქვს გაცნობიერებული...

„ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამ მართლაც შესანიშნავ კაფეში ჩემი მაისურაც გამოიფინა — თქვა რამაზმა — მადლობა ყველას, ვინც ეს საქმე ითავა და გადაწყვიტა, რომ ჩემი მაისურა ამ კაფეში გამოფენას იმსახურებს. ჯერ არ ვაპირებ კარიერის დასრულებას და ვეცდები, მომდევნო სეზონებში დავამტკიცო, რომ ეს გადაწყვეტილება სამართლიანი იყო".

მაისურის გამოფენის ცერემონიალს თითქმის სრული შემადგენლობით ესწრებოდა „სტუ-ჯეოსელი", რომლის შემადგენლობაშიც გოგობერიშვილმა თავისი პირველი ქართული ოქრო მოიპოვა. სანამ რამაზი წლეულს ჩემპიონი გახდებოდა, მანამდე ოთხჯერ იყო ფინალში — 3-ჯერ „აზოტში" ყოფნისას და ერთხელაც „დინამოში", მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა. ბოლო ჩემპიონატში კი გოგობერიშვილმა ტექნიკოსებთან აიხდინა საწადელი და „მსოფლიო სპორტშიც" სწორედ ამ გუნდის 13-ნომრიანი მაისურა გამოიფინა.

**ირაკლი პერტაია**

ჰოკეი

# ერთფეროვანი კვირები და მაინც, ოპტიმიზმი

საინტერესო ფაქტია. ლიგისა და მოთამაშეთა ასოციაციის ლიდერების მოლაპარაკება ახალ კოლექტიურ შეთანხმებასთან დაკავშირებით უკვე ზედიზედ მეცხრე კვირა მიმდინარეობს და ლამის ყოველი კვირის დასრულების შემდეგ ორივე მხარე დაახლოებით ერთნაირ, პრაქტიკულად არაფრისმთქმელ კომენტარებს აკეთებს.

**თავისუფლად** შეიძლება, ნჰლ-ის ვიცე-პრეზიდენტ ბილ დეილისა და ნჰლპა-ს აღმასრულებელ დირექტორ ტედ სასკინის სიტყვები ერთი განცხადებიდან მეორეში გადაიწერონ, ვინაიდან მათი შინაარსი სულაც არ იცვლება: დიახ, საკმაოდ მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ, ძალიან ნაყოფიერად ვიმუშავეთ, მაგრამ ჯერაც ბევრი პრობლემა გვრჩება გადასაწყვეტიო და ასე შემდეგ. მიუხედავად ამისა, ჰოკეის საზოგადოება ყოველი გასული კვირის შემდეგ სულ უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ლოკაუტის დღეები მართლაც დათვლილია. ზოგჯერ ამის საბაბი იმავე დეილისა თუ სასკინის თითქოსდა უმნიშვნელო მინიშნებები ხდება, ზოგჯერ მრავალრიცხოვანი ჭორები, ზოგჯერ კი სხვა, ამ პროცესში ჩახედულ პირთა განცხადებები. გამონაკლისი არც გასული კვირა გახდა. ოფიციალურად წინა კვირისგან განსხვავებით არაფერი შეცვლილა. მხარეებმა ხუთი დღე გაატარეს მრგვალ მაგიდასთან და მხოლოდ კვირის ბოლოს გამოვიდნენ განცხადებით, სადაც ყველაფერი ზემოთქმულსა და უკვე ცნობილს ის დაემატა, რომ ამ კვირაში მორიგი რაუნდი ორშაბათს დაიწყება.

და დაიწყო, რომლის ბოლოსაც ალბათ იგივე ისტორია გამეორდება.

და მაინც, ოპტიმიზმის უამრავი საფუძველი გამოჩნდა. ჯერ ერთი, წინა კვირის მოლაპარაკება უჩვეულო ინტენსივობით მიმდინარეობდა. ხუმრობაა, მხარეები დღეში დაახლოებით 15 (!) საათს მუშაობდნენ. გარდა ამისა, ამჯერად დეილიმ თავს უფლება მისცა, მინიშნება გაეკეთებინა. კორესპონდენტთა კითხვაზე, თუ როდის დასრულდება ლოკაუტი, ლიგის მეორე პირმა უპასუხა, ჯერ ნურაფერს მკითხავთ, მეშინია, თვალი არ გვეცესო.

ახლა რაც შეეხება ჭორებს და სხვა დაინტერესებულ პირთა განცხადებებს. ჯერჯერობით დაუზუსტებელი ინფორმაციით, სავსებით შესაძლებელია, რომ სულ მალე ახალბედების დრაფტი ჩატარდეს. თანაც, როგორც ვარაუდობენ, სულაც არაა აუცილებელი, რომ მანამდე კოლექტიური შეთანხმება იყოს გაფორმებული. ერთი მეორეს არ უშლის და სანამ ლიგა და პროფკავშირი ბოლო დეტალებს აზუსტებენ, ნორჩი ვუნდერკინდების ბედი გადაწყდება. ამის შემდეგ იმავე სიდნი კროსბის, რომლის აყვანაზე ლიგის ლამის ყველა კლუბი ოცნებობს, აღარ მოუწევს ალტერნატიულ ვარიანტებზე (თუ ნჰლ-ი) ფიქრი.

გასული კვირის ბოლოს ქომაგთა იმედები კიდევ უფრო დიადმა მარიო ლემიემაც გაამყარა, თუმც „პიტსბურგის" ლიდერმა და მფლობელმა პროფკავშირიც მკაცრად გააკრიტიკა არჩეული ტაქტიკის გამო.

„მოთამაშეებს რომ მეტი გამჭრიახობა გამოეჩინათ, უკვე თებერვალში იქნებოდა ახალი შეთანხმება გაფორმებული და თანაც ჰოკეისტთათვის გაცილებით ხელსაყრელ პირობებზე. მაშინ ბეტმენი 42,5 მილიონთან სახელფასო ზღვარს სთავაზობდა ოპონენტებს, ახლა კი ნაკლებ თანხებზე ყაბულდებიან" — თქვა სუპერმარიომ გოლის ერთ-ერთ შეჯიბრებაში მონაწილეობისას მიცემულ ინტერვიუში.

სხვათა შორის, მარიომ ირიბად ის ჭორებიც დაადასტურა, რომელიც ნჰლ-ელთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას ეხება.

„მე უეინს ველაპარაკე ამ დღეებში და დავუდასტურე, რომ მზად ვარ, მას ყველანაირად შევუწყო ხელი აგვისტოში შეკრების ჩატარებაში. კარგად მახსოვს 2002 წლის ოლიმპიადის დღეები და უნდა გითხრათ, რომ ეს იყო არაჩვეულებრივი განცდა" — თქვა ლემიემ.

ეს ყოველივე კი იმას ნიშნავს, რომ თავად 40 წლის ლემიე მზადაა, გამოვიდეს 2006 წლის ტურინის ოლიმპიურ თამაშებში და შეჯიბრებაში მონაწილეობის კანდიდატები უკვე აგვისტოში დაიწყებენ მზადებას. რახან საქმეს სათავეში გრეცკი და ლემიე უდგებიან, ეს პრაქტიკულად იმის სრული გარანტიაა, რომ ოლიმპიური ნაკრები სწორედ ნჰლ-ელებისგან ჩამოყალიბდება.

**სამველ ღარიბიანი**

კალათბურთი

# შაკილ ონილმა დიპლომი დაირტყა, კარლ მელოუნმა ვარსკვლავები

**კალათბურთის** მაგისტრი შაკილ ონილი ბიზნესის მაგისტრი გახდა. ახლახან მან წარმატებით ჩააბარა ფინიქსის უნივერსიტეტში გამოსაშვები გამოცდები და მაგისტრის დიპლომი მიიღო.

1992 წელს, როცა „ორლანდო მეჯიქმა" დრაფტზე აიყვანა, შაკილ ონილმა სწავლა მიატოვა და მთლიანად კალათბურთში გადაეშვა. არჩევანი, რა თქმა უნდა, სწორი გააკეთა, რაკი რასაც ონილმა კალათბურთში მიაღწია, ბიზნესში რომ იგივე გაიმეორო, ბილ გეითსის თუ არა, მინიმუმ რომან აბრამოვიჩის ოდენა კაპიტალი უნდა დააგროვო.

თუმც შაკს მთლად ხელი არ ჩაუქნევია სწავლაზე. 92-ში ის დედას შეჰპირდა, რომ აუცილებლად მიუბრუნდებოდა უნივერსიტეტს და დიპლომსაც აიღებდა. ჰოდა, ცნობილმა ვარსკვლავმა სიტყვა შეასრულა და ზაფხულის ეს ცხელი დღეები წიგნებთან გაატარა.

ონილი კვირაში რამდენჯერმე ესწრებოდა ლექციებს, სემინარებს ამზადებდა, სადიპლომო ნაშრომისთვის ინტერნეტში მასალებს ეძებდა და მაგისტრის წოდებაც სამართლიანად დაიმსახურა.


კარლ მელოუნი


შაკილ ონილი

„ესაა ის საჭირო დოკუმენტი, რომელიც მაშინ დამეხმარება, როცა ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდები — ამბობს შაკი — ერთხელაც დავასრულებ კალათბურთელის კარიერას და ვიმუშავებ 9-დან 5 საათამდე, ისევე, როგორც ყველა ჩვეულებრივი ადამიანი. აქამდეც მქონია ცნობილ ბიზნესმენებთან ურთიერთობა, მაგრამ ახლა პროფესიული კუთხით მომიწევს მათთან საქმის დაჭერა და ბიზნესის ენაზე ლაპარაკი."

ამასობაში პროფესია გამოიცვალა კიდევ ერთმა, ოღონდ ყოფილა ვარსკვლავმა კარლ მელოუნმა. იგი სწორედ შაკილის მხარდამხარ იბრძოდა შარშანწინ „ლოს ანჯელეს ლეიკერსში", მაგრამ ჩემპიონი ვერ გახდა, კარიერას თავი დაანება და ახლახან ახალი საქმეც იშოვა.

მან ადრე განაცხადა, რომ პოლიციელი გახდებოდა და აკი დაინიშნა კიდეც შერიფის თანაშემწედ. სამსახურში მისვლისთანავე ორი საპოლიციოდ გაწვრთნილი ძაღლი შეიძინა — თითო 12 ათას დოლარად ღირებული და განყოფილებას უსახსოვრა.

**ირაკლი პერტაია**

# უიმბლდონი 2005

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 10 085 510 გირვანქა სტერლინგი

## ქალები

### მეოთხედფინალი

**ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) 7:6 (7:1) 6:3; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — ნადია პეტროვა (8, რუსეთი) 7:6 (8:6) 6:3; **ამელი მორიზმო** (3, საფრანგეთი) — ანასტასია მისკინა (9, რუსეთი) 6:3 6:4; **ვინუს უილიამსი** (14, აშშ) — მარი პირსი (12, საფრანგეთი) 6:0 7:6 (12:10)

# საქმის გარჩევა აიდოლსტზე

## ძალგულოვანი ფრანგის მუზარადმცდელობა



მარი პირსი სხვას კი ულერებდა, მაგრამ...



ამელი მორეზმო

**ანასტასია** მისკინა თვისტომ ელენა დემენტიევასთან გადატანილი სამსეტიანი მომქანცველი მერვედფინალის მერე თვისტომსავე ელენა ლიხოვცევასთან იმავე ეტაპზე 6:4 6:0-ით ნაგულავებ ამელი მორეზმოს ჩოგანსაც რომ ვერ გადაულუნავდა, ამას არც ჩაუკიდავი გაუვიდოდა და არც ჩაკიდული. ამაში ეჭვი მხოლოდ ტასიას ძალიან ახლობელ ხალხს თუ ეპარებოდა, თორემ დანარჩენი საჩოგნეთისთვის ყველაფერი იმთავითვე ნათელი იყო — 25 წლის ძალგულოვანი ფრანგი ახლა საღოლ ფორმაშია და, რაკილა ნიადაგ უკანახაზიდან მობრახუნე მისკინასგან განსხვავებით მძლავრ მოწოდებას ბადესთან ბარაქიან თამაშსაც ხშირად და თან ხოშიანად უხამებს, ამ წყვილის უდავო ფავორიტადაც დასტურ მიიჩნეოდა.

ჰოდა, ისე ყველაფერი კარგად აგვიხდეს, როგორც რომ ეს ამბავი აგვიხდა. თუკი ტასენკა უკანახაზს მართლაც არ გამოცილებია და ძირითადად მიძალებული მეტოქის იერიშების მოგერიებით იყო დაკავებული, კორტზე ლაღად მონავარდე ფრანგი ახტაჯანა თავის ხვადურ ილაჯს პარიზული მარმაშა კომბინაციებით აზავებდა და დიაღ ამოდ სანახავი გახლდათ.

„ძალიან მინდოდა, თავიდანვე აგრესიულად მეთამაშა და ის წნეხში მომექცია. როგორც თავადვე დარწმუნდით, ეს გამომივიდა კიდეც და მას ეს ძალიან არ მოეწონა" — ტრაბახობდასავით მერე ამელი და არც გაემტყუნებოდა, რადგანაც მატჩი დასტურ ასე წარიმართა და ასე შემდეგ და ასე და ამგვარად.

ისე კი მორეზმოსთან დაკავშირებით ერთი რამეც უნდა ითქვას. ეს ღონიერი მდედრი — როგორც ჩვენებურ ამქარში ყველაზე ენაკვიმატნი იტყვიან — დიდი მუზარადის რაგინდარა ტურნირის ვერმომგებთაგან უძლიერესი მოთამაშეა და ამის გამო მისი ყოველი მუზარადმცდელობა განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია. სხვებთან ერთად, რასაკვირველია, არც ჩვენ ვიქნებით იმის წინააღმდეგნი, თუკი ეს უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ ალაგ უიღბლო, ალაგ კი ნერვების ვერმომთოკველი დედათმავალი თავისი წილი სასლემო ლვეზელიდან ტიტულიან ნაჭერს ამ ჯერზე მაინც თუ მიითლის.

ოღონდ საიმისოდ, რათა ამ ნაჭერს კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვედს და სულაც საჩოგნეზე მიეკაროს, ამელის ნახევარფინალში ამქრის ამაგდარი პირველოსნისა და ტურნირის 1999 წლის ჩემპიონ ლინდსი დევენპორტის ოტებაც დასჭირდება, რაიც — უკეთუ ამ უკანასკნელის ჩინებულ ფორმას გავითვალისწინებთ — ერთობ საჭოჭმანო ამბად წარმოგვიდგება.

29 წლის ლინდსიმ გუშინწინ სამსეტიან უშელავათო და მრავალოფლიან დავლურში აჯობა ტურნირის ასევე ფავორიტად მიჩნეულ ბუთქუნა ბელგიელ კიმ კლაისტერსს, მაგრამ ამ დაძაბული შეხლის მიუხედავად აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის ჩემპიონ სვეტლანა კუზნეცოვას (ვინაც მასზე 9 წლით უმცროსი ჩრიხვია) მაინც ტოლსწორად და ჯანოვნად ეგანდაგანა.

კუზნეცოვა საათისა და 15 წუთის განმავლობაში ჯიქურ ცდილობდა, ლინდსისთვის მეხუთე საუიმბლდონო ნახევარფინალისკენ სავალი გზა დაეხშო, მაგრამ საბოლოოდ მისი კლასისა და გამოცდილების წინაშე მაინც ქედის მოდრეკა მოუხდა.

შეგახსენებთ, რომ ეს ღირსეული ამერიკელი ქალი ამ ტურნირზე არა მხოლოდ კარიერის მეხუთე სლემტიტულისთვის, არამედ ამქრის სეფეჩოგნის შესანარჩუნებლადაც ირჯება — რეიტინგსიაში მის ფეხდაფეხ მადევარ მარია შარაპოვას შანსი აქვს, შარშანდელი ტიტულის შენარჩუნებასთან ერთად ამქრის უსტაბაშობაც გადაიბაროს.

შარაპოვა ვახსენეთ და ალბათ უკვე თავადვე დაასკვნიდით, ფინალში გასაღწევად რუსთა ლოლომარწყვა დეკეულმა იმ ადამიანის უფროს დაიკოს უნდა სძლიოს, ვინაც შარშანდელ ფინალში მოთელა. თუმცა ვინუსის საამტურნირო გარჯის შემხედვარეთ ეგებ საფუძვლიანი ეჭვები გაგჩენოდათ იმასთან დაკავშირებით, ვინ ვისი მძლეველია.

ყოველ შემთხვევაში, ვინუსმა გუშინდლამდეც ჩინებულად იჩოგნავა და გუშინაც საათზე ოდენ 29 წუთით მეტი მოანდომა თავის მეორე უიმბლდონურ მეოთხედფინალში მობურთალ მარი პირსს, რომლისგანაც იმასაც კი არავინ მოელოდა, 30 წლისა როლანგაროსობის ფინალში გასვლის მერე უიმბლდონობაზეც უკანასკნელ რვეულსაც თუ უწევდა.

ტურნირის ორგზის ჩემპიონმა — და, შეგახსენებთ, სანამ უმცროს დაიკოსთან 2002-03 წლების უიმბლდონურ ფინალებში დამარცხდებოდა, ვინუსს 2000-01 წლებში ლონდონურ სეფებალახზე ბადალი არ ჰყავდა — პირსს პირველ სეტში გაუსაჩივრებლად გადაუარა. მეორე თამაში უფრო შემო-ვრდა და გამოცდილმა კანადოფრანგმა იმდენი მოახერხა, საქმის გარჩევა აიდოლსტზე გადაიყვანა. აქ კი რა როგორ წავიდოდა, თითქოს გაურკვეველი ჩანდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვინუსმა ისევ იძალა და თავისი მეხუთე უიმბლდონური ფინალისკენ კიდევ ერთი სეტისწაუგებელი ნაბიჯი გადადგა.

მაგრამ ამ ფინალამდე მან [illegible]გი და, ბუნებრივია, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი უნდა გადადგას მის წინაშე ოქროვანი წლებით შემოსილი და, თუმც ჯერ-ჯერობით არადამაჯერებლად მოსარჯე, მაგრამ მაინც ნიჭიერი, მძლავრად მოკლაკუნე და უბობოქრესად მკვნესარი მაშა შარაპოვა უნდა გახედნოს, ვინაც — სხვათა შორის — მასთან 2:0-ით უპირატესობს.

ისე, 18 წლის მაშკას ყველაზე მძაფრი საამუიმბლდონო გამოცდა სწორედ გუშინ ჰქონდა, როცა გარდერობივით თვისტომმა ნადია პეტროვამ მსუყე საპირველსეტო [illegible]ჭნაობა გაუჩალა და ოდენ [illegible]ტზულა დანებდა. მეორეში კი ჩემპიონმა მოლოდინ მეტოქეს — და, გეხსომებათ, ნადიამ გუშინ სამი თავლიანი სეტი მოანდომა უსახელო ჩეხ კვეტა პეშკეს — უკვე გაუსაჩივრებლად აჯობა.

მატჩმა 85 წუთს გასტანა და ჯერჯერაც უტიტული, მაგრამ ჰაი-ჰაი რომ ხორცოვანი ნადიას ძლევით მაშამ თავისი ზედიზედ 22-ე საბალახსაფრო გამარჯვება ირგუნა. გადაუვა თუ არა ეს 22 მას 23-ში, ამას ხვალ ერთად და რამე-რუმეს შევიტყობთ.



ვინუს უილიამსი



მარია შარაპოვა

# საკვანძო ფიგურამ კვანძი დატოვა

## ხუთი რგოლი კორუფციას ვერ იშორებს



საფრანგეთის ყოფილი სპორტის მინისტრი გი დრიუ, რომლის სახელიც კორუფციულ სკანდალს დაუკავშირდა, გამოვიდა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების პარიზში გამართვის ინიციატორი კომიტეტიდან. ამას გარდა, გი დრიუ ტოვებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში თავის პოსტს.

**გი** დრიუ ირწმუნება, რომ მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, რასაც მას აბრალებენ, მაგრამ არ უნდა, რომ საგანაცხადო კომიტეტში თავისი ყოფნით ზიანი მიაყენოს პარიზის შანსებს, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ლონდონთან, ნიუ-იორკთან, მადრიდთან და მოსკოვთან ერთად იბრძვის.

არადა, დრიუ ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა პარიზის საგანაცხადო კომიტეტში. როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრს და 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს თარჯრბენში, მას მრავალ გავლენიან ფიგურასთან მიუწვდებოდა ხელი.

ახლა ყოფილი მინისტრი ხაზგასმით ამბობს, რომ საგანაცხადო კომიტეტში მისი ყოფნა შესაძლოა გამოიყენონ პარიზის მეტოქეებმა, რის გამოც მან თავისი პოსტი დატოვა.

დრიუ ერთ-ერთია იმ 47 ბრალდებულთაგან, რომელთა შორის არიან პოლიტიკოსები, პარტიული მოღვაწენი, საფრანგეთის მსხვილი სამშენებლო ფირმების წარმომადგენლები.

ამ ხალხმა, როგორც გამოძიება ამტკიცებს, 1990-იანი წლების დასაწყისში საბიუჯეტო კონტრაქტებთან დაკავშირებით მაქინაციები განახორციელეს, რომლის მიზანიც პარტიული საქმიანობის დაფინანსება იყო. მაისში დრიუს წაუყენეს ოფიციალური ბრალდება, რომლის მიხედვითაც ეს დიდმოხელე ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიიდან, რომელშიც დრიუ შტატიან თანამშრომლად არ ითვლებოდა, ყოველთვიურად ღებულობდა ხელფასს 3 ათასი ევროს ოდენობით. თუმცა ყოფილი მინისტრი ირწმუნება, რომ იგი ამ საქმეში ალალია.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობა გაირკვევა 6 ივლისს სინგაპურში გასამართ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე, ამ პროცედურას კი წინ უძღოდა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ჯერ არნახული ბრძოლა, რომელიც მასპინძელი ქალაქის შერჩევასთან იყო დაკავშირებული.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# პრეზიდენტის საჩირაღდნო ლტოლვა

**ლატვიაში** დასრულდა ტურინის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული კონკურსი, რომელიც ითვალისწინებდა ლატვიაში ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის მონაწილეთა გამოვლენას. ლატვიას თავის ტერიტორიაზე ამგვარ ესტაფეტაში მონაწილეობის უფლება მეორედ ეძლევა. სულ კონკურსში წარმოდგენილი იყო ლატვიის მოქალაქეთა 139 განაცხადი. განმცხადებელთა შორის აღმოჩნდა ლატვიის პრეზიდენტი ვაირა ვიკე-ფრეიბერგა.

მათ შორის, ვისაც შეუძლია უშუალოდ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა, განცხადება ორმა წარმოადგინა. ესენი არიან ჰოკეისტები არტურ ირბე და კარლეს სკრასტინში.

სხვა ყოფილ და ამჟამინდელ სპორტსმენთაგან განმცხადებელთა შორის არიან ფეხბურთელი მარის ვერპაკოვსკი, კალათბურთელი ულიანა სემენოვა და ანდრის ბიედრინში, ძალოსნები რაიმონ ბერგმანისი, ვიქტორ შჩერბატიხი მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი მოტორბოლაში კრისტერს სერგისი, ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი აიგარს ფადეევი, ვადიმ ვასილევსკი (ორივე მძლეოსნობა).

ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის მონაწილეთა შერჩევის პროცესი 4 ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე კომისია განსაზღვრავს 20 ყველაზე ღირსეულ მონაწილეს იმათგან, რომლებმაც განაცხადი შეიტანეს. ლატვიიდან კიდევ ერთი მონაწილეს შეარჩევენ იმათგან, რომელთა სახეობაც წარმოდგენილი იქნება ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში.

# სატელევიზიო უფლება სოკ-ის დახლზე

**მომავალი** ოლიმპიური თამაშების ტელეტრანსლაციისთვის ისევე თავგამოდებით იბრძვიან ტელეკომპანიები, როგორც ქალაქები ოლიმპიადების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად. ვანკუვერში 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციის უფლება მოიგო ტელეკომპანია CTV და ROGERS COMMUNICATIONS-მა. ამისთვის მან საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს 153 მილიონი დოლარი გადაუხადა.

„ბედნიერი ვარ, ავღნიშნო, რომ ოლიმპიადის ტრანსლაცია ძველებურად მიმზიდველია ტელეკომპანიებისთვის. ეს ყოველივე იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი საქმე მშვენივრად მიდის“ — თქვა სოკის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა.

იუწყებიან, რომ 153 მილიონად კომპანიამ ვანკუვერის თამაშების ტელეგადაცემათა უფლებასთან ერთად 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის გაშუქების უფლებაც იყიდა. როგის თქმით, ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციის ღირებულება 124 პროცენტით გაიზარდა.

შეგახსენებთ, რომ 2006-2008 ოლიმპიადების სატელევიზიო უფლება 73 მილიონ დოლარად გაიყიდა.

# ერთი სამყარო, ერთი ოცნება

კვირას პეკინში გამოაცხადეს 2008 წელს ჩინეთის დედაქალაქში ჩასატარებელი ოლიმპიური თამაშების სლოგანის შინაარსი, რომელიც ასე ჟღერს: „ერთი სამყარო, ერთი ოცნება“. „ეს ლოზუნგი განასახიერებს ჩინელი ხალხის სწრაფვას მშვიდობის დასამყარებლად და მთელი მსოფლიოს ნათელი მომავლისკენ ლტოლვას“ — თქვა პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა ლიუ ციმ.




**ჩინელმა** პოლიტიკოსმა ლი ჩან ჩუნმა სლოგანი წარმოადგინა კონცერტის მსვლელობისას, რომელიც პეკინის საქალაქო სტადიონზე მიმდინარეობდა და ეროვნული ტელევიზიის მეშვეობით გადაიცემოდა.

ეს დევიზი — „ერთი სამყარო, ერთი ოცნება“, შეარჩიეს იმ 210 შემოთავაზებული წინადადებიდან, რომლებიც დაიწერა ჩინურ, ფრანგულ, ესპანურ, პორტუგალიურ და კიდევ მრავალ სხვა ენაზე.

2001 წელს, როცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად პეკინი აირჩია, მაშინ ჩინეთის დედაქალაქის ლოზუნგი იყო „ახალი პეკინი, დიდი თამაშები“. ახლა ამ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა ეს დევიზი გამოცვალა, რაც „უფრო სრულად ასახავს პეკინელთა და საერთოდ ჩინელთა ეროვნულ თავისებურებებს, აგრეთვე ეპოქის სულისკვეთებას“.

შეგახსენებთ, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების დევიზი იყო „კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება სამშობლოში“, რაც სრულად შეესატყვისებოდა საბერძნეთის დედაქალაქის თამაშებს.

მაგრამ როგორია თავად „ჩინეთის ეროვნული თავისებურებანი?“ უწინარეს ყოვლისა, ეს არის გიგანტომანია. თუ ევროპაში ცდილობენ ყველაფერში ეკონომიის გაწევას, ჩინეთზე ამას ვერ ვიტყვით.

პეკინის ოლიმპიური თამაშების ბიუჯეტი გვპირდება, რომ მსგავს თამაშობათა ისტორიაში ყველაზე დიდი იქნება. მეტიც, პეკინის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები იმდენად დიდი თანხის დახარჯვას აპირებენ, რომ უბრალოდ ფანტასტიკურად გვეჩვენება.

კვირას გამართულ ცერემონიალზე გამოცხადდა, რომ ინვესტიციები 38,6 მილიარდ დოლარს შეადგენს, რითაც 860 პროექტის რეალიზება გახდება შესაძლებელი.

შედარებისთვის ვიტყვით, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების თავდაპირველად დაგეგმილი ბიუჯეტი 6 მილიარდ დოლარამდე იყო, რეალურად კი 12 მილიარდს მიაღწია. პარიზი, რომელიც 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის ფავორიტად ითვლება, აპირებს მხოლოდ 4,1 მილიარდი ევროს დახარჯვას.

ამასთან, ჩინეთის ინფრასტრუქტურა გაცილებით უარესად ვითარდება, ვიდრე ევროპაში. ამიტომაც თანხების უმეტესი წილი უშუალოდ სპორტული ბაზების მშენებლობაზე დაიხარჯება.

კვირას დაიწყო ოლიმპიური სოფლის მშენებლობა. სადაც 2008 წელს იცხოვრებს 16 ათასი სპორტსმენი და ოფიციალური პირი.

ვარაუდობენ, რომ ოლიმპიური სოფლის მშენებლობა 2007 წლის ბოლოს დასრულდება.

220 მილიარდი იუანიდან 184 მილიარდი ტრანსპორტის განვითარებისკენ წარიმართება. გეგმავენ მეტროს და ელექტროტრანსპორტის 132-კილომეტრიანი ხაზის მშენებლობას. აგრეთვე 1230 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზის მოდერნიზებას.

სოკ-ს განსაკუთრებით აღელვებს პეკინის სატრანსპორტო საცობები. 2003 წელს პეკინის ქუჩებში მკვეთრად გაიზარდა ავტომობილების რაოდენობა, რომელიც ისედაც თავბრუდამხვევი სისწრაფით მრავლდებოდა: ჩინელები, რომლებიც უფრთხიან „ქათმის გრიპს“, ცდილობენ თავი აარიდონ საზოგადოებრივ ტრანსპორტს და გადაჯდნენ საკუთარ ავტოებში. (ცნობარისთვის — 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ იმ დროისთვის უკუპროცესი დაიწყება).

„ვგეგმავთ იმ ღონისძიებების გატარებას, რომლებიც პეკინის მოსახლეობას საზოგადოებრივი ტრანსპორტისკენ მიაბრუნებს. ვიმედოვნებთ, რომ ოლიმპიადის დღეებში საცობები არ იქნება“ — თქვა მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიის დირექტორის მოადგილემ ლიუ კსიამინმა. მან აგრეთვე უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ პეკინის ოლიმპიადის დღეებში ქალაქის მოსახლეობისთვის უქმეები გამოცხადდება და კერძო ტრანსპორტით მოძრაობა აიკრძალება.

ენერგეტიკულ სექტორში გადავა 50 მილიარდი იუანი, სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას მოხმარდება 18 მილიარდი, ხოლო 15,5 მილიარდი — პეკინის გარეუბნებში მდებარე 69 სოფლიდან ხალხის გადასახლებას. 43 მილიარდი დაიხარჯება კავშირგაბმულობასა და ტელევიზიაზე. დიდი ყურადღება დაეთმობა გარემოს დაცვას, რისთვისაც 16 მილიარდი იუანი გამოიყოფა. პეკინელთა გეგმებში არის გზების გასწვრივ ხეების დარგვა და საქალაქო პარკების რაოდენობის გაორმაგება.

რაც შეეხება ტურიზმს, პეკინის ოლიმპიურ თამაშებამდე იგი უფრო თავბრუდამხვევი ტემპით განვითარდება. ვარაუდობენ, რომ საოლიმპიადოდ პეკინში სულ ცოტა 4,6 მილიონი უცხოელი ტურისტი ჩავა.

პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ბილეთების შეძენა უკვე გაისად იქნება შესაძლებელი. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ბილეთების გაყიდვის დაწყებისას ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ იქნება და ახლა ორგანიზატორთა მთავარი ამოცანა ისაა, რომ ზუსტად განსაზღვრონ ტრიბუნებზე ადგილების რაოდენობა. უკვე წლევანდელ სექტემბერში სპეციალური კომისიის სხდომაზე დაამტკიცებენ პეკინის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალებს სცენარებს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 17 ივნისი - 3 ივლისი

IX ტური

| | | |
|---|---|---|
| ზახარ იეფიმენკო (უკრაინა) | 0,5:0,5 | ლევან ფანცულაია (საქართველო) |
| ევგენი პოსტნი (ისრაელი) | 0:1 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) |
| ზვიად იზორია (საქართველო) | 0,5:0,5 | დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი) |
| კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) | 1:0 | მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) |
| სებასტიან ზიბრეხტი (გერმანია) | 0:1 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) |
| რასულ იბრაჰიმოვი (აზერბაიჯანი) | 0:1 | ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) |
| დავით მაღალაშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | მიხაილ კურაშკევიჩი (გერმანია) |

# ვარშავაში შარშანდელი ოქრო გამოჩნდა



**ევროპის** შარშანდელი ჩემპიონი, უკრაინელი ვასილ ივანჩუკი თანდათან იბრუნებს დაკარგულ პოზიციებს. მეცხრე ტურში მან 15 წლის თანამემამულეს სერგეი კარიაკინს შავი ფიგურებით მოუგო და ახლა ცხრილს მასთან ერთად ლიდერობს. უკრაინელი ვუნდერკინდი ბოლო ტურებში წარმატებით თამაშობდა და მრისხანე ივანჩუკსაც ბოლომდე ეომა, თუმცა გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

უკრაინელებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს და დაფაზე მანევრირებას შეუდგნენ. მე-9 სვლაზე ივანჩუკმა ლაზიერი გამოუშვა ცენტრში, რის გამოც კარიაკინს დასახული გეგმები ჩაუშალა და იძულებული გახადა, წინა ხაზიდან თეთრი მხედარი დაებრუნებინა. პატარა უკრაინელი ფიგურების გაცვლას შეუდგა და უპირატესობასაც დაეუფლა, მან მეტოქეს ცენტრი წაართვა. მომდევნო სვლებზე კარიაკინმა უფრო განავითარა ფიგურები, D ხაზზე ლაზიერ-ეტლი დასვა და ახალ იერიშს თამამად შეუდგა. 24-ე სვლაზე გამოცდილმა ივანჩუკმა A ხაზიდან პაიკი გაუშვა წინ, უპირატესობას დაეუფლა და 25-ე სვლაზე ხარისხით დაწინაურდა. კარიაკინი მარჯვენა ფლანგიდან შეუდგა იერიშებს, თუმცა ვერაფერს გახდა და 32-ე სვლაზე წაგებაში კიდევ სამი პაიკით დარჩა. რიცხობრივ უპირატესობაში მყოფმა ივანჩუკმა A ხაზზე მოძრავი პაიკი კვლავ აამოძრავა, 38-ე სვლაზე ლაზიერად გადააქცია და თამაშის ბედიც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მეცხრე ტურში სამმა ქართველმა — ჯობავამ, გაფრინდაშვილმა და გაგუნაშვილმა — იყოჩაღა. სასიხარულოა, რომ სამივემ შავი ფიგურებით მოუგო მეტოქეებს და შესაბამისადაც ცხრილშიც მაღლა აიწია.

**ლაშა გეგეჭკორი**



| | | |
|---|---|---|
| 1 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 7 ქულა |
| 2 | ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ (რუმინეთი) | 7 |
| 3 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 7 |
| 4 | ვადიმ მილოვი (შვეიცარია) | 6,5 |
| 16 | ლევან ფანცულაია (საქართველო) | 6 |
| 30 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 6 |
| 48 | ზვიად იზორია (საქართველო) | 5,5 |
| 73 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 5 |
| 127 | ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) | 4,5 |
| 154 | მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 4 |
| 183 | დავით მაღალაშვილი (საქართველო) | 3,5 |

# ადამიანი-ობობა ჰიდრამ გადასანსლა
## ტვინი მანქანის წინააღმდეგ



ლონდონი. ინგლისი 21 - 26 ივნისი

მაიკლ ადამსი (ინგლისი) — ჰიდრა (არაბეთის გაერთიანებული ემირატები)

0:1 0,5:0,5 0:1 0:1 0:1 0:1

**ინგლისელმა** დიდოსტატმა მაიკლ ადამსმა, იგივე ადამიანმა-ობობამ, სუპერკომპიუტერ „ჰიდრასთან" საშინელი ანგარიშით 0,5:5,5 წააგო. თამაშები ლონდონში უემბლის საკონფერენციო ცენტრში მიმდინარეობდა და საპრიზო თანხა 150 ათასი დოლარი იყო.

რეგლამენტის მიხედვით, ადამსს ყოველ მოგებულ პარტიაზე 25 ათასი უნდა მიეღო, ყაიმზე კი 10 ათასი. როგორც შედეგიდან ჩანს, ალბიონელი დიდოსტატი შინ მხოლოდ 10 ათასით წავიდა, რაც მისთვის კარგი შედეგი ნამდვილად არ არის.

ექვსი შეხვედრიდან ადამსმა ყაიმით მხოლოდ მეორე პარტია დაასრულა, დანარჩენში კი შანსი არ დაუტოვა კომპიუტერმა. „ადამსთან მატჩმა აჩვენა, რომ საჭადრაკო სამყარო ახალ ფაზაში შევიდა. არა მგონია, ადამიანმა ოდესმე კომპიუტერს მოუგოს" — განაცხადა მატჩის მთავარმა არბიტრმა ალბერტ ვასემ.

ბრიტანელმა დიდოსტატმა სტიუარტ კონკვესტმა, რომელიც ამ მატჩის რეპორტაჟს გადასცემდა, აღნიშნა:

„ყოველი პარტია შთაცემდა ადამსს, რაც არ უნდა ძლიერი პოზიცია ჰქონოდა, ყოველთვის ეგონა, რომ წააგებდა და ასეც მოხდა".

მატჩის შემდეგ თვითონ ადამსაც აღიარა, კომპიუტერის მაგივრად ადამიანი რომ ჰყოლოდა მეტოქედ, შედეგი წარმატებული შეჰქმნოდა.

ახლა ცოტა ამ საოცარ მანქანაზეც ვთქვათ.

„ჰიდრა" არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში, კომპანია „პალ გრუპის" მიერ არის შექმნილი და წუთში 200 მილიონი სვლის დათვლა შეუძლია. მისი ავტორები არიან კრიცი დონინგერი და ულრიხ ლორენცი, ხოლო მწვრთნელები კრისტოფერ ლუტცი და მუჰამედ ნასირ ალი.

ამ შედეგით „ჰიდრამ" შესანიშნავი რეკლამა გაიკეთა, თუმც მისი ავტორები ამით არ კმაყოფილდებიან და გვპირდებიან, რომ მომავალში მანქანის მეხსიერებას კიდევ გაზრდიან.

**ლაშა გეგეჭკორი**

# სექსი, სექსი და ისევ სექსი



**ალბიონელმა** ინგლისელმა ნიკი უოტერმანმა გახსნა ფიტნესის ონლაინ სკოლა, რომელიც უბრალოდ ფიტნესის კი არა, სექს ფიტნესისაა. 50 ფუნტზე ნაკლებ ფასად ნებისმიერს შეუძლია ამ მომხიბლავი ქალბატონისგან მიიღოს რჩევა, რომ საუკეთესო ფიტნესი სექსია.

„პერსონალური მწვრთნელი ფუფუნებაა, რის უფლებასაც თავის თავს ვერ აძლევს. მე კი შემიძლია ნებისმიერ მსურველს ვუბოძო ბრწყინვალე ფიზიკური ფორმა" — ამბობს უოტერმანი.

რაში მდგომარეობს ნიკისეული ჯანმრთელობის საიდუმლო? ეს არის სექსი, სექსი და კიდევ ერთხელ სექსი. კვირაში 5-ჯერ სექსი ექვივალენტურია სატრენაჟორო დარბაზში ორსაათნახევრიანი ვარჯიშისა. იმ ადამიანებს, რომლებიც კვირაში სამჯერ მისდევენ სექსს, 50 პროცენტით უმცირდებათ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების ალბათობა. ამას გარდა, სექსი საუკეთესო საშუალებაა გახდომისა და ფიგურის კორექციისთვის. იმავდროულად, სექსი ეს ძალზე სასიამოვნო რამაა. თუმცა, მსგავს მტკიცებულებას ჩვენ ყველანი ვიცნობთ, რომელიც, სხვათა შორის, ჭეშმარიტებაა. მაგრამ ზოგჯერ მას ვივიწყებთ.

აი, ნიკი კი, რომელმაც საწოლში ორისთვის სპეციალური ვარჯიშების კომპლექსი მოიგონა, ინგლისელებს ახსენებს, რომ სექსი სასარგებლო რამაა, ოღონდ ფასიანი.



# გული დონ კინგსაც აუჩუყებია



**სახელგავარდნილი** პრომოუტერი დონ კინგი ფიქრობს, რომ მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონის მაიკ ტაისონის მენეჯერები არაფრის მაქნისი ბიზნესმენები გამოდგნენ, რის გამოც ყველაზე სახელგანთქმულ მოკრივეს კარიერა უსახელოდ დაასრულებინეს. კინგმა ისიც თქვა, როცა დავინახე, რომ ტაისონმა უარი თქვა კევინ მაკბრაიდთან ბრძოლის გაგრძელებაზე, ალალად გული დამწყდაო.

„მე უბრალოდ ვტიროდი — ამბობს დონ კინგი — მენეჯერებს დარჩათ მილიონობით დოლარად შეფასებული აქტივები, ამ დროსვე ტაისონი კი გაბანკროტებული, უამბიციოდ და უიმედოდ დატოვეს. ისინი სულ ამაოდ ცდილობდნენ ტაისონის ჯენტლმენად წარმოჩენას. იგი ვერასოდეს გახდებოდა ერთდროულად ჯენტლმენიც და მებრძოლიც. მისი სტილის საფუძველი სიბრაზეზე იყო დაფუძნებული" — თქვა კინგმა.

კინგის აზრით ექსჩემპიონის მენეჯერი შელი ფინკელი შეცდა, როცა ტაისონი ორმეტრიან მაკბრაიდს შეახვედრა.

„რისთვის დასჭირდა მას ტაისონისთვის ასეთი მხეცის შერჩევა. ტაისონს არ შეუძლია ასეთი დიდი ბიჭების დამარცხება. ტაისონს ასეთებთან მუდამ პრობლემები ჰქონდა" — გაოცებას ვერ ფარავდა პრომოუტერი.

შეგახსენებთ, რომ დონ კინგის თანამშრომლობა მაიკ ტაისონთან 1988 წელს დაიწყო და 10 წლამდე გაგრძელდა, რაც იმით დასრულდა, რომ მოკრივემ პრომოუტერს სასამართლოში უჩივლა, ჩემთვის კიდევ ასი მილიონი დოლარი გაქვს გადასახდელიო. შარშან მხარეებმა გადაწყვიტეს, კონფლიქტი სასამართლოს გარეშე მოეგვარებინათ, რისთვისაც „სამშვიდობო" ხელშეკრულება დადეს, კინგმა კი ვალდებულება ტაისონისთვის თოთხმეტი მილიონი გადახდა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ხმელთაშუამლეთის ამბავი

ესპანეთის სამხრეთში, ქალაქ ალმერიაში, ხმელთაშუა ზღვის თამაშები გახურებულა. ვის არ ნახავთ იქ. აი, ბერძენი ხარიკლეია კასტრიცი 58-კილოგრამიან ქალებს შორის საუკეთესოობას ძალოსნობაში ცდილობს, ალბანელი ემირ ჰაზა სირიელ ზაქარია ნაშედს ეჭიდავება, რათა 60-კილოგრამიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის გაიმარჯვოს, ხოლო მოფარიკავეთა ფინალში დარტანიანის შთამომავლები აბა, ვის დაუთმობდნენ ადგილს – ჟან მიშელ ლუკენეი გუტიე გრუმიეს გაჩხვლეტას ცდილობს. ჰო, თუ ვინმემ დარტანიანის წარმოშობა არ იცის, წაიკითხოს „სამი მუშკეტერი“ და გაიგებს.








AFP ალმერიიდან

# პატრიკს მაგარი მამა ჰყავს

პედრეიგ ჰარინგტონი მეგოლფეა და საქართველოში ამიტომ არ ვიცნობთ ისე კარგად, თორემ მისი ხელფასი რომ გაიგოთ, შეიძლება ბევრი ფეხბურთის ვარსკვლავიც კი შეგვეცოდოთ. ამ ფოტოზე ირლანდიელი ვაჟთან, პატრიკთან ერთად არის გადაღებული. ჰარინგტონმა ეს-ესაა „ბერკლეის კლასიკი“ მოიგო და უხარია...




AFP ნიუ იორკიდან



AFP ფრანკფურტიდან

# სამძიობა ფრანკფურტში

ბურთს უკან რომ სამი ძიაა, ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი(შუაში), დოიჩლანდ 2006-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი(მარჯვნივ) და მიმდინარე კონფედერაციათა თასის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ჩაკ ბლეიზერი არიან. მათ ფრანკფურტში დღევანდელი ფინალის წინ მოვეხსენებათ, ბრაზილია არგენტინას ხვდება პრესკონფერენცია გამართეს და მავრები რომ არიან, იმაზე ილაპარაკეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კვლაციძე, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიციაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფილფანი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge